

# 24 საათი

## ინილეთ ჩანართი



# აბონენტი 007

### სოფიო თოდაა

რას უნდა ნიშნავდეს, როცა ქალი მთელი ერთი თვის განმავლობაში ფოსტალიონს ელოდება? თუ ის ახალგაზრდაა, აუცილებლად შეყვარებულისაგან ელის ამბავს, მაგრამ თუ ახალგაზრდა აღარაა, წერილის ავტორები შეიძლება იყვნენ შვილები, მშობლები, ნათესავები თუ ძველი მეგობრები. ჩამონათვალის გაგრძელება დასაშვებია, მაგრამ მეჭვება, ასიდან ერთმა ამ სიას

"თელასი", "თბილისის წყალი", "ყაზტრანსგაზთბილისი" ან "გაერთიანებული ტელეკომი" დაუმატოს. არადა, მე სწორედ მათგან ველოდი პასუხს, თუმცა სულ ტყუილად - როგორც ჩანს, არათუ ასიდან, ათასი კაციდანაც ერთადერთი აღმოვჩნდი, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება მოსთხოვა.

ყველაფერი კი "საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან" დაიწყო, თანაც დიდი ხნის წინათ. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მივიდნენ იმ

დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ადამიანთა გონიერული ურთიერთშეთანხმების შედეგად უნდა შექმნილიყო. ეპიკურეს ამ არაჩვეულებრივმა იდეამ განვითარება მხოლოდ მე-17-18 საუკუნის ევროპაში ჰპოვა და იქიდან მოყოლებული ცივილიზებული სამყარო უკვე კარგად ნაცნობი დოქტრინით ცხოვრობს: თავისუფალი და დამოუკიდებელი ინდივიდების ნებასურვილით შექმნილი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე უფლებათა დაცვა.

ჩვენს დროში გადმოვინაცვლოთ, მაგრამ ისევ ხელშეკრულებებზე ვილაპარაკოთ. იურისტი დიმიტრი გაბუნია მისხნის: "ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ზეპირად დადებული ხელშეკრულების მაგალითია, როცა, ვთქვათ, მივედი მაღაზიაში და ვიყიდე "ლიკანი" ერთ ლარად. თქვენ მე შემომთავაზეთ ფასი, მე მას დავეთანხმე და ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება.

ბაზრძალვა A4 გვერდზე

# რისი გადატვირთვა?

ჰილარი კლინტონის მოლაპარაკებები ნატოს-თან, ევროკავშირთან და რუსეთთან

დავიდ ჯ. სიტიჩი  
სპეციალურად "24 საათისთვის"

თუ დიპლომატიას დადებითი გრძობებით გავზომავთ, გამოდის, რომ გასულ კვირას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის ევროპაზე "თავდასხმა" უმაღლესი შეფასების ღირსია. იგი ნატო-ელ კოლეგებს მოელაპარაკა, ნატო-რუსეთის აღდგენილი კავშირები საქართველოსა და უკრაინის დამშვიდებით გაანონასნორა, ევროკავშირის ლიდერები მოხიბლა, ქალთა და ახალგაზრდულ ჯგუფებს გაესაუბრა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან ერთად ივანშმა.

უნდა ვაღიაროთ, კლინტონმა ქულები ჩაინერა გასული წლის აგვისტოში, საქართველოსთან რუსეთის ომის შემდეგ შეჩერებული ნატო-რუსეთის ურთიერთობების ფორმალურად აღდგენის მოწონებით. ნატო-რუსეთის საბჭო ბრძოლად არ ღირს. იგი არც ერთადერთი და არც მნიშვნელოვანი არეალია მოსკოვთან დიპლომატიური დისკურსის გასაჩაღებლად.

ბაზრძალვა A3 გვერდზე



AFP - 2009

## "ყუთების აქცია" გრძელდება

A2



## დაკარგული ნამუშევრები იპოვნეს

A11



## 24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია  
ინილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



## 24 საათი

## The New York Times

## Weekend

1 მარტიდან

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ----- 52 ლარი;
- 6 თვით ----- 26 ლარი;
- 3 თვით ----- 13 ლარი;
- 1 თვით ----- 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



### ოტობაია-ორსანტიას ადმინისტრაციულ საზღვარზე ქვეითსანინალმდეგო ნაღმი იპოვეს

ოტობაია-ორსანტიას ადმინისტრაციულ საზღვარზე ქვეითსანინალმდეგო ნაღმი იპოვეს. ნაღმი გალიდან ზუგდიდში გადმოსვლის დროს მოსახლეობამ აღმოაჩინა და ამის შესახებ სოფლების გამგებლებს აცნობა. აღნიშნულ ადგილზე ევროკავშირისა და გაერო-ს მიხედვით ნარკომადგენლები მივიდნენ, თუმცა ოკუპანტებმა მათ მუშაობის საშუალება არ მისცეს და საგუშაგოებიდან მიზანმიმართულ სროლა დაიწყეს. მიუხედავად ამისა, მათ მაინც მოახერხეს ქურვის გაუფრთხილებლობა. აღსანიშნავია, რომ ეს ადმინისტრაციულ საზღვარზე ერთადერთი ადგილია, სადაც ადგილობრივები რუსული საგუშაგოების გვერდის ავლით გადაადგილებას ახერხებენ. **პირველი**

### გრიგოლ ვაშაძემ ჰილარი კლინტონის წერილი მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის წერილი მიიღო. წერილში ნარკომადგენელი აშშ-ს ხედვა საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების როლისა და შემდგომი საქმიანობის შესახებ. ამ კონტექსტში აშშ-ს პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უპირობო მხარდაჭერის შესახებ კიდევ ერთხელ არის აღნიშნული. ამასთან, წერილში საქართველო-აშშ-ს ორმხრივი ურთიერთობების საკითხებია განხილული. **პირველი**

### გრიგოლ ვაშაძე ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კვირის ბოლოს ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებს განიხილავს. ამის შესახებ გუშინდელ ბრიუსელში მინისტრის მოადგილემ დავით ჯალალანიამ განაცხადა. "როგორც იცით, მინისტრი ამჟამად ოფიციალური ვიზიტით იაპონიაში იმყოფება, კვირის ბოლოს ის ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრაზე საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხები განიხილება. ამასთან, მინისტრი ვაშაძე ბელგიისა და ლუქსემბურგის აღმსარებლები და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება," - განაცხადა ჯალალანიამ. საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი ოფიციალური ვიზიტით იაპონიაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში ვაშაძე თავის იაპონელ კოლეგას პიროფუმი ნაკასონესა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო ვიცე-მინისტრს, წარმომადგენლობითი პალატის წევრ იასუტომი ნიშიმურას შეხვდება. **პირველი**

### კინმარიშვილი კოდების ოქსის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

ფონდ "2020"-ის პრეზიდენტ ეროსი კინმარიშვილს კოდების ოქსის წევრებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიიყენეს. ამის შესახებ "პირველს" თავად კინმარიშვილმა აცნობა. "შაბათს გუდაურში, ასეულობით დამსვენებლისა და პოლიციის თვალწინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მალაქინოსისის კოდურს ოქსის წევრებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მომყენეს. ამის შესახებ რამდენიმე წუთში პირადად ვაცნობე შს მინისტრის უახლოეს გარემოცვას და მოვთხოვე შესაბამისი ზომების მიღება, თუმცა მათი მხრიდან ამ დრომდე არანაირი რეაგირება არ მომხდარა," - განმარტავს კინმარიშვილი. მისივე თქმით, აღნიშნული ინციდენტი "ხელისუფლების მხრიდან ინსპირირებული პროვოკაციაა და პოლიტიკური ოპონენტისადმი ანგარიშსწორების ფაქტის წარმოდგენს". "მივმართავ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს ამ ფაქტის შესაბამისი კვალიფიკაციისა და მათი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებისათვის," - განაცხადა კინმარიშვილმა. **პირველი**

### კახეთში გაშვილების ფაქტები გახშირდა

კახეთში გაშვილების ფაქტები გახშირდა. ამის შესახებ "პირველს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს. ცენტრის ინფორმაციით, ამის მიზეზად სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა ზრუნვის რაიონული სამსახურების სოციალური მუშაკები მოზარდთა ბიოლოგიური ოჯახების ძიებში სოციალურ მდგომარეობას ასახელებენ. ბავშვთა ზრუნვის სამსახურებიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე კახეთის საინფორმაციო ცენტრი აცხადებს, რომ 2008 წელს 30-ზე მეტი ბავშვი გაშვილდა, ხოლო მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში ბავშვის გაშვილების შესახებ ბავშვთა ზრუნვის სამსახურებს 40-ზე მეტმა განმცხადებელმა მიმართა. "2009 წელს ჯერჯერობით არც ერთი ბავშვი არ გაშვილებულა, რადგან სპეციალური საბჭოები, რომლებიც ამ საკითხს იხილავენ, ამ დრომდე არ ფუნქციონირებს," - აცხადებს ბავშვთა ზრუნვის კახეთის რეგიონული სამსახურის წარმომადგენელი თინა გოგიაშვილი. **პირველი**

# "ყუთების აქცია" ბრძელდება

არასაპარლამენტო ოპოზიციამ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშნის მოთხოვნით თბილისში ჩატარებული "ყუთების აქციის" შედეგად უკვე 48 ათას 347 ხელმოწერა შეგროვა. თბილისის 16 მეტროსადგურთან, ბაზრობებთან და ავტოსადგურთან ზუთი დღის განმავლობაში მიმდინარე აქციაში 9 აპრილის აქციის ორგანიზაციაში ჩართული ცხრა ოპოზიციური პარტია მონაწილეობდა - "კონსერვატორები", "ხალხის პარტია", "დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", "თავისუფლება", "ტრადიციონალისტები", "ქალთა პარტია", "საქართველოს გზა", "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" და "მრეწველები". 9 აპრილის აქციის ორგანიზატორთა მტკიცებით, საზოგადოების მხარდაჭერა მაღალია და მოკლე დროში სააკაშვილის ხელისუფლება კონსტიტუციური გზით შეიცვლება. "შეგროვებული ხელმოწერები ადასტურებს მოსახლეობის მზადყოფნას, რომ მიზნის მისაღწევად 9 აპრილიდან დღე და ღამე რუსთაველის გამზირზე იდგეს," - აღნიშნა "კონსერვატორების" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ.



"ყუთების აქცია" რეგიონებში გადინაცვლებს

10 მარტიდან ხელმოწერების აქცია საქართველოს 16 ქალაქში დაიწყება და სამ დღეს გაგრძელდება. ამ მიზნით რეგიონებში ოპოზიციური პარტიების ლიდერები ჩაერთა. "ხალხის პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი ხელმოწერების შეგროვებას ქუთაისში, სამტრედიასა და ბათუმში დაესწრება, პარტია "თავისუფლების" ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგვაძე - რუსთაველში, "კონსერვატორების" წარმომადგენელი ბიძინა

გუჯაბიძე - თელავში, ამავე პარტიის წევრი ბუყან გუნგაძე კი - მარნეულში," - აღნიშნეს აქციის ორგანიზატორებმა გუშინ "კონსერვატიული პარტის" ოფისში გამართულ ბრიფინგზე. იმავდროულად, საერთო სახალხო პლემბისციტის მოწყობას აპირებს "ალიანსი საქართველოსთვის", რომლის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ არ გამოცხადებულა, რომ მათი ეს კამპანია ოპოზიციური პარტიების მიერ დაწყებულ აქციას შეერწყას. მისი თქმით, ოპოზიციური პარტიების შორის იმართება კონსულტაციები სააკაშვილის გადადგომის მიზნით საერთო გეგმის შე-

სამუშაველად. კახა კუკავამ "ალიანსს საქართველოსთვის" სოლიდარობა გამოუცხადა და გაერთიანებული ოპოზიციის სახელით 9 აპრილის აქციაზე ალიანსის წარმომადგენლების ხილვის სურვილი გამოთქვა. დღეიდან ბათუმში საპროტესტო აქციის გახარტვას "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოლაიძეც გეგმავს. "ჩემი სამომავლო გეგმები უკვე ჩამოყალიბებულია და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მკაფიოდაც კი. ჩვენ ვაშენებ სტრუქტურებს, რომლებიც ადამიანები ხელისუფლებას აქტიურ წინააღ-

მდეგობას გაუწევენ. ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, საზოგადოებას ჩვენს პროგრამებსა და ხედვას სისტემატურად ვაცნობთ. მოძრაობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ხელისუფლება უნდა აიძულოს, დათმობაზე წავიდეს," - აცხადებს ზურაბ ნოლაიძე. რაც შეეხება სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან შესაძლო თანამშრომლობას, მისი განცხადებით, "მოძრაობა ყველა იმ კონსულტაციაში მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ხელისუფლების დასაშლელად და დასანგრევად იქნება მიმართული." **საკუთარი ინფორმაცია**

# ინგილოზის პრობლემების მოსაგვარებლად

### ვერიკო თაყაიძე

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგომიძე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. მინისტრი გაეცნო იქ მცხოვრები ქართული დიასპორის პრობლემებს, ესაუბრა როგორც ბაქოს მკვიდრ ქართველებს, ასევე მაჰმადიან მესხებს და საინგილოს მოსახლეობას. მათ განსხვავებული პრობლემები აწუხებთ.



იულონ გაგომიძე

ბაქოში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს არ გააჩნიათ სათვისტომო, შეკრების ადგილი. აქედნად გამოდინარე, მათთვის ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენს, ჰქონდეთ მუდმივი ბინა, სადაც ერთმანეთს სისტემატურად შეხვდებიან. გაგომიძის ინფორმაციით, არსებობს საშიშროება, რომ ბაქოში მცხოვრებ ქართველთა ახალგაზრდა თაობა მშობლიურ ენას დაკარგავს. ისინი ვერ საუბრობენ ქართულად. იულონ გაგომიძე გამოსავალს საკვირაო სკოლების ამოქმედებაში ხედავს. ინგილოზის პრობლემა მრავალგვარია. აქ 12 შერეული სკოლა არსებობს. ზოგი მათგანი კარგად

არის მოწყობილი, ბევრს კი დახმარება სჭირდება. ქართულ სკოლებში გადასახდინა სასწავლო პროგრამები, არ გააჩნიათ არანაირი სახის თვალსაჩინოება, აქაურები სახელმძღვანელოების დეფიციტსაც განიცდიან. "ქართულ სკოლებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ჩვენი, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან," - განუცხადა "24 საათს" იულონ გაგომიძე. კახის რაიონში არსებობს სახელმწიფო თეატრი, რომლის შენობაც სავალალო მდგომარეობა-

შია. ამ თეატრს მოვლა-პატრონობა სჭირდება. იგივე ითქმის საავადმყოფოზეც. ინგილოთა ერთ-ერთი პრობლემა ყურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ეხება. აზერციტსაც განიცდიან. "ქართულ სკოლებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ჩვენი, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან," - განუცხადა "24 საათს" იულონ გაგომიძე. კახის რაიონში არსებობს სახელმწიფო თეატრი, რომლის შენობაც სავალალო მდგომარეობა-

ლებში იულონ გაგომიძე აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდა. იგი ესაუბრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის მინისტრ აბულფაზ კარაევს, აგრეთვე განათლების მინისტრ მისირ მარდანიოვს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნაზიმ იბრაგიმოვსა და რეგიონის კომიტეტის თავმჯდომარეს. კულტურის მინისტრთან შეხვედრის დროს საუბარი ყურმუხის ეკლესიას შეეხო. დიასპორების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დაარწმუნა იქაური საზოგადოება, რომ ეს ქართველების მიერ აგებული ეკლესიაა და საჭიროა ნირვა-ლოცვის აღდგენა. იულონ გაგომიძე აზერბაიჯანული ვიზიტით კმაყოფილია. "შეგავცანი იმ პრობლემებს, რომლებიც აზერბაიჯანსა და საინგილოში ქართული დიასპორის წინაშე დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში სამინისტრო ამ პრობლემებს მოაგვარებს," - განუცხადა "24 საათს" იულონ გაგომიძე. "აზერბაიჯანი ჩვენი მეზობელი და, იმავდროულად, მეგობარი ქვეყანაა. შესაბამისად შეიძლება, ყველა პრობლემა მოლაპარაკებით გადაწყდეს," - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.



# "დიდი ელჩობა" პარლამენტში

გიორგი ასანიძე

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ამ კვირაში ელჩების როტაცია ერთდროულად 11 ქვეყანაში განხორციელდება. პარასკევს, პარლამენტის პლენარული სხდომა მიხედვით სააკაშვილის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს დაამტკიცებს, მანამდე კი, 11 და 12 მარტს, საკომიტეტო მოსმენები გამართება.

მომავალი ელჩებიდან ყველაზე "ვრცელი ტერიტორიის" დაფარვა ეკატერინე მაიერინგ-მიქაძეს მოუწევს. დიპლომატი ქალბატონი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ერთდროულად ექვს სახელმწიფოში იქნება: კუვეიტი, საუდის არაბეთში, ბაჰრეინში, კატარში, ომანსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში. აღსანიშნავია, რომ ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე დღემდე საქართველოს ინტერესებს იორდანიაში, ლიბანსა და ერაყში იცავდა.

საქართველოს ახალი ელჩი კიდევ ორ აზიურ სახელმწიფოში ეყოლება: თურქმენეთსა და ავღანეთში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი იოსებ ჩახვაშვილი გახდება, რომელიც ამჟამად რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მუშაობს და რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს კურირებს.

თემურ იაკობაშვილის უწყები-

დან პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთი ელჩის კანდიდატურა შეარჩია: სახელმწიფო მინისტრის მოადგილე რუსლან აბაშიძე ესტონეთში საქართველოს ელჩად დაინიშნება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრი გიორგი კუბლაშვილი ინიშნება საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში. რაც შეეხება ეუთო-ში და ქალაქ ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს, ეს პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ვიქტორ დოლიძემ დიპლომატიური სარბიელიდან პოლიტიკურ არენაზე გადაინაცვლა და ირაკლი ალასანიას თანაგუნდელი გახდა. ამ თანამდებობაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა პაატა გაფრინდაშვილის კანდიდატურა წარადგინა, რომელიც ამჟამად ამავე სამსახურში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანია.

ელჩების კანდიდატურებს პარლამენტი, ალბათ, უპრობლემოდ დაამტკიცებს. სულ სხვა მდგომარეობაა საარჩევნო კანონმდებლობის შემთხვევაში - ახალ საარჩევნო კოდექსზე მუშაობა, სეარაუდოდ, მწვავე პოლიტიკური დისკუსიის ფონზე წარმართება.

ამ კვირაში იწურება "ქვევის კოდექსზე" ხელმოწერის მსურველი პოლიტიკური სუბიექტებისთვის დანესებული ორკვირიანი ვადა,

რომლის ამოწურვის შემდეგაც სამუშაო ჯგუფი საარჩევნო კოდექსის დახვეწაზე მუშაობას შეუდგება. როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე განმარტავს, ორკვირიანი ვადის დასრულება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც "ქვევის კოდექსს" ხელმოწერაზე უარს იტყვიან, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში ჩართვის უფლება აღარ ექნებათ.

"სხვებსაც შეუძლიათ მოგვიანებით, ნებისმიერ დროს შემოგვიერთდნენ, ოღონდ უკვე მიღწეული შეთანხმებები აღარ გადაიხედება და განხილულ საკითხებს აღარ დაუბრუნდებათ," - აფრთხილებს პარლამენტის თავმჯდომარის ოპოზიციონერი მოადგილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს.

ამჟამად პარლამენტში საქმიანობს კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახებისთვის სოციალური შეღავათების დანახების საკითხს იხილავს. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი, დეპუტატ ოთარ თოიძის თქმით, ძირითადი სამუშაო უკვე დასრულებულია და შემუშავებულია რამდენიმე პროექტი, რომლებიც უახლოეს დღეებში მთავრობას წარედგინება განსახილველად, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან უკვე შეთანხმებულ ვარიანტს კი დეპუტატები ბიუროს მომავალ სხდომაზე, 16 მარტს გაეცნობიან.

# განუკითხაოების შედეგები ახალგორში

დათო გაბისონია

გუშინ, ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედრო გამომძიებლები ჩავიდნენ. ისინი 8 მარტს, ახალგორის რაიონის სოფელ გარუბნის ტერიტორიაზე მომხდარი აფეთქების გამომწვევ მიზეზებს იძიებენ. რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოსულმა გამომძიებლებმა და ექსპერტებმა შემთხვევის ადგილი შეამოწმეს, მაგრამ მომხდარი ფაქტისთვის ამ დრომდე არ მიუციათ არც დივერსის და არც ტერაქტის კვალიფიკაცია.

ერთ-ერთი ვერსიით, აფეთქება სოფელ ყანეთის მიმართულებით მიმავალი სამხედრო კოლონის ტექნიკურად გაუმართავობამ გამოიწვია. შედეგად, კოლონაში მდებარე ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი "გრადი" განადგურდა. ამასთანავე, დაიჭრნენ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალის ჯარისკაცები, არიან გარდაცვლილებიც, თუმცა მათი რაოდენობა არ კონკრეტდება. საინფორმაციო სააგენტო "ოსინფორმის" ცნობით, "აფეთქების შედეგად, ცეცხლი გაუჩნდა რამდენიმე სამხედრო მანქანას და შემთხვევის ადგილის სიახლოვეს მდებარე იარაღის საწყობს." სწორედ აღნიშნული საწყობიდან მარაგდებოდნენ ტყვიანამდით ახალგორის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცები. აფეთქებების ხმა ახალგორის რაიონის რამდენიმე სოფელში ერთი საათის განმავლობაში ისმოდა. ხმა გაიგეს ევროკავშირის დამკვირვებლებმაც, ისინი შუადღისას, ახალგორის სიახლოვეს, სოფელ ქვემო ჭალასთან პატრულირებდნენ. სადამკვირვებლო მისია მზად არის სოფელ მო-

საბრუნის მახლობლად მომხდარი აფეთქების გამომწვევი მიზეზების გამოსაძიებლად, თუმცა მისიის წევრები ოკუპანტებმა ახალგორის რაიონში არ შეუშვეს. ასე რომ, ინციდენტს მხოლოდ რუსი სამხედრო გამომძიებლები შეისწავლიან. გუშინ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ აფეთქების შესახებ განცხადება გაავრცელა, "გვესმის, რომ ნათელი არ არის, რა მოხდა - ეს უზღვევრი შემთხვევა იყო თუ რაიმე ფორმის დივერსიული აქტი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე მთელ ტერიტორიაზე სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის უზრუნველყოფა სურს და ამიტომ ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, ჩავატარებთ ინციდენტის გამომწვევი მიზეზის ნეიტრალური გამოძიება, თუ ტერიტორიაზე მოქმედი შესაბამისი ხელისუფლება ამის ნებართვას მოგვცემს," - აღნიშნულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ახალგორის რაიონში მომხდარ აფეთქებაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღონიამ. "ეს არის ლოგიკური გაგრძელება იმ განუკითხაობისა და უკანონობისა, რასაც ამ თვეების განმავლობაში რუსეთის ხელისუფლება და მისი ხელშეწყობით მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები ოკუპირებულ რეგიონში ატარებენ. ეს არის თვითონ რუსეთის შეიარაღებული ძალების არსებული განუკითხაობის დადასტურება. ნიშანდობლივია, რომ რუსულმა მხარემაც კი გამოიჩინა ტერაქტის ვერსია. მნიშვნელოვანი ხდება ცეცხ-

ლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრული დაცვა, ასევე ევროკავშირის დამკვირვებლების მონიტორინგის განხორციელება ადმინისტრაციული საზღვრის იქით, რაც უსაფრთხოების გამაგრებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს," - განაცხადა გრიგოლ ვაშაძის მოადგილემ გუშინ ტრადიციულ ბრიფინგზე. დავით ჯალაღონიამ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მხრიდან ეთნიკური ოსების მიმართ დაწყებულ რეპრესიებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, დაიწყო იმ ოსების დევნა და რეპრესიები, რომლებიც 2006 წელს "სამხრეთ ოსეთის" ალტერნატიულ საპრეზიდენტო არჩევნების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ. "ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და მშვიდობა, რომელსაც მარიონეტული რეჟიმი დეკლარირებს, რეალობისგან და სიმართლისგან ძალიან შორს არის," - განმარტა ჯალაღონიამ.

ამ დრომდე პატიმრობაში იმყოფებიან რამდენიმე დღის წინათ დაკავებული სკოლის პედაგოგი და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ახალგორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი თამარ ჩაროვეა და ადგილობრივი ადმინისტრაციის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ვიკი ჩიგოვეი სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააკავეს. თამარ ჩაროვეა კოკოთის "ზოვიკებმა" გაკვეთილზე, ბავშვების თვალწინ დააპატიმრეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, რადგან ჩიგოვეა ქრონიკული ასთმით არის დაავადებული. ორივეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს და დღემდე ცხინვალის იზოლატორში ამყოფებენ.

# რისი გადატვირთვა?

პირველი გვირგვინი



არც მოსკოვია იმდენად გულბრყვილი, ვერ მიმხვდარიყო, რომ ის ნატო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობას გასულ ზაფხულში, საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის პიკამდეც კი, დიდი ხნის მიტოვებული ჰყავდა.

ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის აღდგენისადმი ლიტვის პრინციპული წინააღმდეგობა ძალიან ჰგავს საქართველოსა და უკრაინის კლინტონისეულ დამშვიდებას.

"რუსეთთან ჩვენი ურთიერთობები არავითარ საფრთხეს არ უქმნის ისეთი ქვეყნების დამოუკიდებლობის, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების ან საკუთარი კურსის განსაზღვრისადმი ჩვენს მხარდაჭერას, როგორცაა საქართველო, ბალტიის ან ბალკანეთის სახელმწიფოები," - განაცხადა კლინტონმა ევროპის პარლამენტში სტაჟიორებთან და კადრების ახალგაზრდულ ფრთასთან შეხვედრაზე.

"ეს არის ჩვენი ამოსავალი წერტილი რუსეთთან ურთიერთობების განახლებისა და ნატო-რუსეთის საბჭოს ხელახლა ამოქმედებაზე თანხმობის გაცხადებისას... ჩვენ განახლებულ ურთიერთობებს ფხიზელი თვალი ვინცხვამ."

პრინციპის საჯაროდ გამოცხადება უფრო მეტად ღირებულია, ვიდრე არაფრისმომცემი უმიზნო შეხვედრები, რომლებიც რუსეთის წარმომადგენლებთან ბრიუსელში რამდენიმე კვირაში უნდა გაიმართოს.

ნატო-ს შემდეგ კლინტონი ენერგიულად გაეშურა ბრიუსელში, ევროკავშირის უმაღლეს კომისართან საგარეო პოლიტიკაში ხაზიერ სოლანასთან, ევროკავშირის საგარეო საქმეთა ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერსა და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარელ შვარცენბერგთან შესახვედრად.

კლინტონმა ევროპელები გააოგნა. "რაც თქვენ ბრძანებთ, შესაძლებელი იყო ევროპელებსაც ეთქვათ," - მიმართა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ევროკავშირის ასამბლეის პრეზიდენტმა ჰანს-გერტ პეტერინგმა ახალგაზრდებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

კეთილი ზრახვებით, თავმდაბალი ტონით კლინტონმა გეზი შენევისკენ, ლავროვთან შესახვედრად აიღო. შეხვედრისგან კლინტონის მრჩევლები იმ ყინულის გაღობას ელოდნენ, რომელიც შედეგად შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან ლავროვის შეხვედრამ მოიტანა.

გამოსავალი კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის "გადატვირთვის" ღილაკის ხელსაწყოს წარდგენა იყო, რაც აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 6 თებერვალს გაახმოვანა. ბაიდენის განცხადებით, აშშ-რუსეთის ურთიერთობებში დადგა დრო, როდესაც უნდა მოხდეს "გადატვირთვის ღილაკზე დაჭერა".

შენევაში, "ინტერკონტინენტალის" ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, სადღივ ფრანგულად დამზადებული თევზის და დესერტად შევიცარიული შოკოლადის ერთმევაში ორი საგარეო უწყების ხელმძღვანელი დაამეგობრა.

"სერგეი, ეს კარგი დასაწყისი იყო," - განაცხადა კლინტონმა სადღის შემდეგ გამართული პრესკონფერენციის დაწყებისას.

"ვიმედოვნებ, ჰილარი დამთავანდება და გავრისკავ იმის აღნიშვნას, რომ ჩვენ შესანიშნავი პირადი ურთიერთობები გვაქვს," - განაცხადა თავის მხრივ ლავროვმა.

ამ შეხვედრის მნიშვნელობის დამცირების გარეშე, განსაკუთრებით დამატებული ურთიერთობების შემდეგ ახალი თევზის მირთმევას და ერთმანეთისთვის საჩუქრების შეჩვენებას მხოლოდ შეზღუდული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს.

საკმაოდ მოდური გახდა ვაშინგტონსა და სხვა ნებისმიერ შორის ყოველ შეუთანხმებლობაში პრეზიდენტ ბუშის და მისი ადმინისტრაციის დადანაშაულება.

თუმცა, 2001-ში, "კოტონ-აიდ ჯოზე" (ამერიკული ხალხური სიმღერა) ბუშმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ერთად ტეხასის რანჩოში იცეკვა. 2008-ში, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ტანკები ამერიკული გეოპოლიტიკური ინტერესების დასამსხვრევად საქართველოსკენ დაიძრნენ, ბუში თავის ძველ მეგობარ პუტინს პეკინის ოლიმპიადაზე გადაეხვია.

საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ჯორჯი და პუტინი ან ჰილარი და სერგეი დიპლომატიის და ომის წარმართვას არა პიროვნული, არამედ თავიანთი სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად. დამკვირვებლები ვაშინგტონში, ევროპის დედაქალაქებსა და მოსკოვში მალე დაინახავენ, რომ ამერიკის ზოგიერთი ინტერესი რუსულ ინტერესებს და ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ევროპული მოკავშირის ინტერესებსაც ეჯახება.

ბრიუსელის კეთილგანწყობის მიუხედავად, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ მიაღწიეს გადაწყვეტილების შეცვლას ავღანეთის საკითხზე, ალიანსის უპირველეს პრობლემაზე. ამავდროულად, "ნიუ იორკ თაიმსი" იუწყება: "შეკითხავთ, მოიგებდა თუ არა აშშ ავღანეთში ომს, თუ გასულ თვეს დამატებით 17 ათას სამხედროს გაავზავნიდა, ობამამ მტკიცედ უპასუხა - "არა".

შენევის კონკრეტული შედეგები კი სუსტია. უფრო მეტიც, იქ კლინტონ-ლავროვის შეხვედრაზე ცივი ომის გამძაფრებული შიში იგრძნობოდა - ამერიკის სახელმწიფო მდივანი შენევაში ჩასვლამდე კონსულტაციებისთვის ნატო-ში ჩერდება, შემდეგ იმედოვნებს, რომ ნეიტრალური შენევა რუსებთან მოლაპარაკებისთვის კარგი ადგილია და ორი მხარე თანხმდება, რათა განიხილონ.... სტრატეგიული ბირობული შეიარაღების შეზღუდვის და სარაკეტო თავდაცვის საკითხები! გადავახვიოთ ვიდეო 1985 ან თუნდაც 1969 წლისკენ.

რასაკვირველია, ასევე გაჩნდა ახალი, ცივი ომის შემდგომი საკითხები - ირანის რაკეტები და ბირთვული იარაღის პერსპექტივა, ავღანეთში ომის წაგება, ჩრდილოეთ კორეის რაკეტები და ბირთვული შეიარაღება, ნატო-ს გაფართოება. ლავროვმა არც ერთ ამ საკითხზე "გადატვირთვის" ღილაკს თითი არ დააჭირა. მომავლის ამოცანა კი კლინტონისათვის "გადატვირთვის" ღილაკის მოქმედ ქსელთან მიერთება იქნება.

დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)



# აბონენტი 007

პირველი გვარდნიდან

მაგრამ არის გარიგებების კატეგორია, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს ხელშეკრულებების წერილობით ფორმას. მეტიც, ზოგს წერილობითი ფორმაც სჭირდება და სანოტარო წესით დამონებაც. რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომლებიც ჩვენ ვაზს, ელექტროენერჯის თუ წყალს გვაწვდიან, აქ სხვაგვარადაა საქმე. სამოქალაქო კოდექსი და კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ გვეუბნება: როცა კერძო თუ სახელმწიფო კომპანია ხდება საჯარო შეთავაზების ინციატორი, ხელშეკრულება მოსახლეობასთან მანვე უნდა გააფორმოს. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ "თელასიც", "თბილისის წყალციხეც", "ყაზტრანსგაზთბილისიც" და კიდევ ბევრ ასეთი კომპანია მონოპოლისტები არიან. თქვენ ხომ არა გაქვთ არჩევანი, რომ ელექტროენერჯია სხვა კომპანიამ მოგაწოდოთ? ამიტომაც, რომ მათ მოსახლეობას კაბალური პირობები არ უნდა წაუყენონ. სხვათა შორის, მარეგულირებელი კომისიებიც ამ მიზნით იქმნება. ჩვენსა და, ვთქვით, იმავე "თელასს" შორის ამჟამად გაფორმებულია ზეპირი ხელშეკრულება: ჩვენ, როგორც აბონენტები, აღრიცხვავთ ვართ აყვანილი, მონიჭებული გვაქვს პირადი ნომრები და ყოველთვიურად ვიხდით გადასახადს - ანუ მე ყოველთვიურად ვდებ გარიგებას: ის მანვდის ელექტროენერჯიას და მე ამაში ფულს ვიხდი. მაგრამ თუ მოქალაქე მოითხოვს წერილობით ხელშეკრულების გაფორმებას, სადაც უფრო დეტალურად იქნება განწერილი უფლება-მოვალეობები ორივე მხრიდან, რა თქმა უნდა, ასეთი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. თუ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს გეტყვიან, მაშინ გაქვთ უფლება, სასამართლოს მიმართოთ და სარჩელი აღძრათ მათ წინააღმდეგ".

უსიტყვოდ დავეყვი ამ სფეროში

როში გამოცდილი იურისტის რჩევას, მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რატომ გამიჩნდა წერილობითი ხელშეკრულების დანართი სურვილი. ნავიტრებაზე და ვიტყვი, რომ კეთილსინდისიერი აბონენტი ვარ და ყველა გადასახადს დროულად ვიხდი. ამისდა მოუხედავად, ერთ მშვენიერ დღეს მეც დავრჩი ვაზის გარეშე. აბონენტს ეგონა, რადგან გადახდის ბოლო ვადა კვირას დაემთხვა, გადასახადს ორშაბათს გადაიხდიდა და შინ დაბრუნებულს გაზქურაზე ათუხთუხებული ქვაბი დახვებოდა. აბონენტი მწარედ შეცდა და როცა საღამო ცხელ ჩაიზე ოცნებაში გაატარა, აი, მაშინ კი გაახსენდა, რომ პაპანაქება ზაფხულში მთელი ორი კვირა ისევ ძველ ნავთქურაზე იდულებდა ყავას. ორი კვირის თავზე მეზობელმა ამბავი მოიტანა, რომ ახლადმშენებულ კორპუსში ვაზის მილები გაჰყავდათ და ჩვენც ჩვენი პოტენციური მეზობლების კომფორტს ვენიერებოდით.

"ყაზტრანსგაზთბილისის" ოფისში უსაშველო რიგში ვდგავარ და ვცდილობ, ჩემი განცხადება კანცელარიაში გაატარონ შესაბამისი პროცედურის დაცვით. სხვათა შორის, ესეც პრობლემაა, რადგან თანამშრომელთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვითხოვ. მიმტკიცებენ, რომ ქვითარი, რომელიც თვის ბოლოს კარებში გაჩრილი მხვდება, ხელშეკრულება ჩემსა და მათ შორის. რადგან ასეთი ქვითრები ყველას მისდის, დეტალებზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ. გადმოატრიალეთ და დარწმუნდებით, იქ ჩამოთვლილი ექვსივე პუნქტიდან მხოლოდ თითო გვიქნევს და გვაფრთხილებენ, როგორ დავისჯებით იმ შემთხვევაში, თუ ვაზის საფასურს დროულად არ გადავიხდით ან თვითნებურად გავუშვებთ ექსპლუატაციაში ვაზის ხელსაწყოს. მაგრამ ამ ქალაქში, მე რომ ქვითარი მგონია, მათ კი ხელშეკრულება, აბონენტის

უფლებებზე ან "ყაზტრანსგაზთბილისის" მოვალეობებზე ერთი სიტყვაც არაა ნახსენები. ანალოგიური მდგომარეობაა სხვაგანაც. მართალია, "თელასის" ქვითარში მითითებულია, რომ "მომსახურე კომპანიის თანამშრომლები ვალდებული არიან მომხმარებელს მიაწოდონ სრული ინფორმაცია ელექტრომომარაგების მომსახურებასთან დაკავშირებით, განუმარტონ მომხმარებლისა და სიმართლე გითხრათ, მეც მომზერდა გაუთავებელი გადამისამართება ერთადერთი შედეგით: სატელეფონო საუბრებით მხოლოდ იმას ვადგენ, რომ ამ საქმეს არაფერი ეშველება. რაც შეეხება სატელეფონო კომპანიებს, ჩემს შემთხვევაში "გაერთიანებულ ტელეკომს", იქ მყარად მხოლოდ ერთ წესს იცავენ: კლიენტი ყოველთვის მტყუანია. ასე მაგალითად, თქვენ ვერანაირად ვერ იტყვიან უარს საინფორმაციო სამსახურის 09 მომსახურებაზე და იქამდე გადაიხდით არარსებულ გადასახადებს, სანამ ერთი მხრივ 09-ს და, მეორე მხრივ "გაერთიანებულ ტელეკომს" არ მოუხვრდებათ მაინც ცდამაინც თქვენი გამწარება.

სანამ ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებს მივმართავდი, ჯერ საკუთარ თავზე ვაგებრავდი. ასე მეგონა, თუ ჩვენ, მოქალაქეები, რომლებიც ამავდროულად სხვადასხვა კომპანიებისთვის რიგითი აბონენტები ვართ, არ დავინტერესდებით ჩვენივე უფლებებით, მანამდე აზრი არა აქვს, კერძო კომპანიებს მორალური გადმოსახედიდან ველაპარაკოთ და დავამუნათოთ, რატომ მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ შეგვიძლია მივმართოთ ადვოკატებს -

სათითაოდ თუ არა, ამხანაგობების ტიპის გაერთიანებები შეექმნათ და კანონის ფარგლებში ვარეგულიროთ ურთიერთობა ჩვენსა და კერძო თუ სახელმწიფო კომპანიებს შორის? გამოგიტყდებით, პასუხებს ჩემს მოთხოვნაზე მხოლოდ საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად არ ველოდი, თუნდაც იმიტომ, რომ ერთი შემთხვევის გამო არ დიხვია ვაი-უშველებელის ატყვება. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი გზა აღმოჩნდა იმის დასადგენად, რამდენად დაცულია ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის, ცხადია, მეც. იმასაც ვიტყვი, რომ მე ერთი კარგი ადვოკატის ინსტრუქციით ვმოქმედებდი და სწორედ მისი რჩევით გადავწყვიტე, ყველაფერი საკუთარ თავზე გამომეცადა. შეიცვლებოდა თუ არა სურათი, ამ კარგ ადვოკატს მთელ კორპუსთან რომ დაეჭირა საქმე? რასაკვირველია, შეიცვლებოდა: ერთი თვის თავზე ჩემს მეზობლებსაც იმდენივე პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვებოდათ, რამდენიც მე დამიგროვდა ოცდაათი დღის განმავლობაში. არადა, მეგონა, რომ ხელშეკრულებები, რომელთაც კერძო კომპანიებთან გვაფორმებდით, უფრო სერიოზული მსჯელობის საგანი გახდებოდა და იმ დეტალებზეც გავამახვილებდით ყურადღებას, რაც მხოლოდ იურისტებისთვისაა გასაგები. ასე არ მოხდა და მეც, ძალაუფლებურად, ისევ მე-18 საუკუნის ევროპელ მოაზროვნეებს უნდა დაუფედო ყური. ისინი კი წერდნენ: "რადგან სახელმწიფო აღმოცენდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მოქალაქეებს აქვთ მისი გაუქმების უფლება" (ყან ჟაკ რუსო). ახლა საკითხავია, ვინ და როგორ დადებს ახალ ხელშეკრულებას ჩვენსა და "იმათ" შორის, ოღონდ ისე, რომ აბონენტი პირადი ნომრით 007 უფრო უარესს მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

## მიხეილ სააკაშვილი: "საქართველოში სისხლისღვრა არავის შერჩება"

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, "საქართველოში სისხლისღვრა არავის შერჩება".

ეს განცხადება პრეზიდენტმა აგვისტოს ომში დაღუპული

ექიმის ლერი ლაგურაშვილის ოჯახში სტუმრობისას გააკეთა. "ჩვენი ბრძოლა გრძელდება და არავის შერჩება სისხლისღვრა. ეს ბრძოლა დიდხანს გასტანს, მაგრამ საქართველო არა-

სოდეს შეეგუება მისი ტერიტორიის ოკუპაციას," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა დაღუპულის ოჯახს იმისთვის, რომ "ასეთი შვილი

გაზარდეს". აღსანიშნავია, რომ დაღუპული ლაგურაშვილის ოჯახის სხვა წევრებიც მსახურობენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

პირველი

## თბილისი საერთაშორისო საზოგადოებრივ სართავადო რეაბირებას ელის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გასულ კვირას რუსული სამხედრო ვერტმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევას რუსული ავრესის გაგრძელებად აფასებს და იმედს იტოვებს, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამ ფაქტზე შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

ამის შესახებ დღევანდელ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალალანიამ განაცხადა. "რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან ორი ვერტმფრენი შემოფრინდა. მათ გარკვეული ხანი დაჰყვეს ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, დაათვალიერეს შინა-

გან საქმეთა სამინისტროს ძალთა განლაგება და უკან დაბრუნდნენ. ჩვენ ამას მკაცრად ვაპროტესტებთ და იმედი გვაქვს, ამას სათანადოდ შეაფასებენ როგორც ევროკავშირის მონიტორები, ასევე მთელი საერთაშორისო საზოგადოება. ეს არის აგრესიის გაგრძელება და პროვოკაციის მორიგი მცდელობა," -

განაცხადა ჯალალანიამ. მისივე თქმით, "ავისტოს აგრესიას სწორედ ასეთი პროვოკაციები უძღოდა წინ". გასულ კვირას რუსულმა ვერტმფრენებმა საქართველოს საჰაერო სივრცე ისევ დაარღვიეს, მათ განმუხურში მდებარე და ქართული პოლიციის სხვა შენობები დაათვალიერეს.

პირველი

### "ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას აშანტაჟებს და აშინებს"

პარტიის "ჩვენ თვითონ" ლიდერის, პარლამენტის წევრ პაატა დავითიას განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას აშანტაჟებს და აშინებს.

როგორც დავითიამ ახალგორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელ თამარ ჩაროვეასა და ადგილობრივი ადმინისტრაციის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გივი ჩიგოვეის დაკავების ფაქტის კომენტარებისას განაცხადა, "კოკოთის ხელისუფლება რუსეთის საოკუპაციო ჯარების მხარდაჭერით სარგებლობს და ადგილობრივ მოსახლეობას აშანტაჟებს". "მათ უკან რუსეთის საოკუპაციო ჯარები დგას და აქედან გამომდინარე, კოკოთის კრიმინალური ხელისუფლება იმ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დარჩენილი ქართული მოსახლეობის ნაწილს აშინებს," - განაცხადა დავითიამ. **პირველი**

### სოციალური დაცვის გარანტიების შექმნაზე კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი მომზადდება

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებისათვის სოციალური დაცვის გარანტიების შექმნის შესახებ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი 11 მარტისთვის იქნება მზად. შესაბამის პროექტზე პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი ჯგუფი მუშაობს.

როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძემ განაცხადა, ძირითადი სამუშაო დასრულებულია და რამდენიმე ვარიანტი შემუშავებულია. ამ ვარიანტებს მთავრობასთან, კერძოდ კი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმება სჭირდება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ აღნიშნა, მართლაც მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ვარიანტები აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმდეს. მისივე თქმით, თუკი საბოლოო ვარიანტი ორ დღეში მომზადდება, მაშინ შესაძლებელი გახდება ბიუროს მომავალ სხდომაზე შესაბამისი საკანონმდებლო ინციატით წარდგენა. **მედიანიუსი**

### თბილისში გერმანელი და საერთაშორისო ექსპერტები სემინარს ჩაატარებენ

თბილისში ორმხრივი ქართულ-გერმანული თანამშრომლობის პროექტის - "ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში საკანონმდებლო მეტროლოგიაზე განსაკუთრებული აქცენტით" (მასის ეტალონური ლაბორატორიის პროექტი) - ფარგლებში გერმანელი და საერთაშორისო ექსპერტები ჩამოვლენ.

10 მარტს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში გაიმართება სემინარი თემაზე "ხარისხის ინფრასტრუქტურა - გლობალური გამოწვევები".

გერმანელი და საერთაშორისო ექსპერტები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებსაც შეხვდებიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს შორის შეთანხმების ფარგლებში მიმდინარეობს ორმხრივი ქართულ-გერმანული თანამშრომლობის პროექტის - "ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში საკანონმდებლო მეტროლოგიაზე განსაკუთრებული აქცენტით" - განხორციელება.

პროექტის მიზანია საქართველოში ქვეყნის პრიორიტეტებისა და სამენარემო სექტორის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება. პროექტის ფარგლებში სააგენტოში შეიქმნება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი მასის ეტალონური ლაბორატორია, მოხდება მისი აღჭურვა და საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფა. პროექტის მიხედვით, გერმანულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ლაბორატორიისთვის ყვირადღიერებული აპარატურის, უმაღლესი სიზუსტის ეტალონური მონყობილობების შექმნა, ხოლო საქართველოს მხარემ იკისრა მასის ეტალონური ლაბორატორიისთვის შენობის უზრუნველყოფის ვალდებულება. შენობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დოკუმენტების და სტანდარტების მოთხოვნებს. **მედიანიუსი**

### "ფორბსის" სახიფათო ქვეყნების რეიტინგში საქართველო მეთხუთმეტეა

ამერიკულმა ჟურნალმა "ფორბსმა" მსოფლიოს ყველაზე სახიფათო ქვეყნების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველომ მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა.

"ფორბსის" ექსპერტებმა საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ სახიფათო სახელმწიფოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობისა და არასტაბილური მდგომარეობის გამო მიიჩნიეს.

"ფორბსის" მიერ გამოქვეყნებული, მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: 1.სომალი; 2.ავღანეთი; 3.ერაყი; 4.კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა; 5.პაკისტანი. **მედიანიუსი**



# სასამართლო პატიმარი დარბაზიდან გაათავისუფლა

მიმდინარე 2009 წელს უზენაესმა სასამართლომ უკვე მესამე გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანა. მთლიანობაში გასულ წელს, საქართველოს საერთო სასამართლოებმა (რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა) სრულად გამამართლებელი განაჩენი - 37 პირის, ხოლო ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 363 პირის მიმართ გამოიტანეს.

"დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სხდომათა დარბაზიდან," - ყველა პატიმრისთვის სასურველი ფრაზა 9 მარტს უზენაეს სასამართლოში კიდევ ერთხელ გაისმა. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განწყვეტილებით, ქურდობისთვის ბრალდებული 33 წლის კახა ქ-ი სასამართლომ წაყენებულ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

საქმის მასალების მიხედვით, კახა ქ-ს თანასოფელ 27 წლის სოსო გ-სთან ერთად მეზობლის ტრაქტორის ნაწილის მოპარვა ედებოდა ბრალად.

წინასწარი გამოძიებისას სოსო გ-მ დანაშაული აღიარა, მაგრამ მეორე განსასჯელმა კახა ქ-მ ქურდობაში რაიმე სახით მონაწილეობა კატეგორიულად უარყო. განსასჯელი თავს უდანაშაულოდ თვლიდა და ამის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიებისას, შემდეგ კი სასამართლო პროცესზე თავის ალიბი დაასახელა. მსჯავრდებული საკასაციო საჩივარში წერდა, რომ ქურდობის ღამეს იგი დაზარალებულთან იყო,



ანა პეტრიაშვილი ნახატი

აქედან გამომდინარე ვერც ქურდობაში მიიღებდა მონაწილეობას.

მიუხედავად საკმაოდ მყარი მტკიცებულებისა, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა ორივე ბრალდებული დამნაშავედ გამოაცხადა - ჩადენილი დანაშაულისთვის სოსო გ-ს - 4 წელი და 9 თვე, ხოლო კახა ქ-ს 4 წელი და 8 თვე მიუსაჯა. ქვემოთ მოცემული ინსტანციების

გადანწყვეტილება სოსო გ-მ და კახა ქ-მ გაასაჩივრეს. მათი საჩივარი უზენაესმა სასამართლომ განსახილველად წარმოებაში მიიღო.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, უმაღლესმა საკასაციო სასამართლომ გამოიკვლია საქმის არსებითი გარემოებები, დაკითხა დაზარალებული, თავად მსჯავრდებულები და 9 მარტს

საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა.

სასამართლომ სოსო გ-ს მიმართ განაჩენი მცირე ცვლილება შეიტანა, თუმცა მოსახდელი სასჯელის ნაწილი უცვლელი დატოვა, ხოლო კახა ქ-ის საქმეში მიიჩნია, რომ იგი უდანაშაულოა და წარდგინდა ბრალდებაში სრულად გაამართლა.

**უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური**

## პრეკვიდენტი

# "თბილწყალკანალს" ზარალის ანაზღაურება დაეკისრა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მოსამართლეები მაია სულხანიშვილი, ნუნუ კვანტალიანი და მარიამ ცისკაძე, განიხილა შპს "თბილწყალკანალის" საჩივარი. "თბილწყალკანალის" წარმომადგენლები ითხოვდნენ, შემდგომ სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გაუქმებინა და მოქალაქე ია ლომაურის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

მოდიოდა. მეზობლები მომემარნენ, მაგრამ მილის გადაკეტვა ვერ შევძელით. მაშინვე დავრეკე ისნის რაიონის წყალკანალის სამსახურში. ვთხოვე, დამხმარებოდნენ და წყალი გაეთიშათ. წყალკანალის თამანშრომლები დარეკვიდან რამდენიმე საათში, დაახლოებით 1 საათზე მოვიდნენ. ნახეს გახეთქილი მილი და გვითხრეს, ამის გაკეთება ჩვენს მოვალეობაში არ შედის, კერძო მუშები მოიყვანეთ და წავიდნენ. ელიავაზე გავიქეცი და მუშები მოვიყვანე, მაგრამ ტროტუარის დანგრევაზე იმათაც უარი მიიხრეს, სპეციალური ნებართვა გვჭირდება. ბოლოს ახლობელმა საკრებულოში თავის ნაცნობთან დარეკა. ის დაუკავშირდა წყალკანალს და მათი თანამშრომლები მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდნენ. წყალი რომ გადაკეტეს, უკვე დაღამებული იყო," - ამბობდა მოქალაქე, რომლის ბინაც ამ შემთხვევის გამო ისე დაზიანდა, რომ ექსპერტების დასკვნით, მასში ცხოვრება ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშადაა.

ზარალის დადგენის მიზნით, სასამართლომ მიერ ია ლომაურის სახლზე ექსპერტიზა დაინიშნა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წყლის ნაკადმა საცხოვრებელი სახლის კედლები დაზიანა, რომლებიც დე-

ფორმირდა და დაიზარა. ამის გამო დაზიანდა სახლის ჭერიც. გარდა ამისა, წყალი სარდაფში ჩავიდა და საძირკველი დაზიანდა.

"ლომაურის სახლი კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ ცხოვრება დაუშვებელია. შესაძლოა, სახლი დაინგრეს," - ასეთი იყო ექსპერტის შეფასება.

მოსარჩელის და მისი ადვოკატის მტკიცებით, სახლის დაზიანება "თბილწყალკანალის" გულგრილობამ გამოიწვია და სახლის შეკეთებაზე დახარჯული თანხაც მას უნდა აენაზღაურებინა. სწორედ ამ მოთხოვნით მათ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას მიმართეს.

სასამართლოზე მოპასუხე მხარედ მიწვეული "თბილწყალკანალის" წარმომადგენლების მტკიცებით, "თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესდების თანახმად, წყალსადენის განშტოება, ქუჩის გამანაწილებელი ქსელიდან წყალმომხივების ჩათვლით, სახლის ეზოს ან კვარტლის ტერიტორიაზე, ითვლება შიდა ქსელად და იქ მომხდარი უნესრიგობის აღკვეთა აბონენტს ევალება."

მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, იმის დასადგენად, თუ სად მდებარეობს დაზიანებული მილი და რეალურად ვის ეუთვნოდა მისი გადაკეტვა, შემდეგ კი შეკეთება, სასამართლომ ექსპერტიზა დანიშნა. მტკიცებულებათა შეჯამების შედეგად კი სასამართლომ ია ლომაურის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

"სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლზე დაყრდნობით, მივიჩნევთ, რომ მოსარჩელე ია ლომაურისთვის მიყენებული ზიანი გამონვეული მოპასუხის შპს "თბილწყალკანალის" უმოქმედობით, რადგან "თბილწყალკანალის" თანამშრომლების მიერ წყლის ნაკადის დროული შეჩერების შემთხვევაში, სახლის დაზიანება აცილებული იქნებოდა. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, იგი უნდა დადგინდეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ," - ასეთი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაწყვეტილება, რომელიც მხარეებმა ჯერ თბილისის სააპელაციო, შემდეგ კი უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს. თუმცა, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო და უზენაესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა.

## დიმიტრი შაშკინი კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტს გაეცნო

საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" გაფართოებულ სხდომაზე სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს შეხვედნენ, რომელსაც ფრაქციის მიერ მომზადებული, პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის პროექტი გააცნეს. "კანონპროექტი მომზადებულია და შეგვეძლოს პირდაპირ ბიუროსთვის წარგვედგინა, მაგრამ რამდენადაც ახალი მინისტრი განწყობილია თანამშრომლობისთვის, პროექტი ჯერ საზოგადოების სამსჯავროზე გამოგვაქვს," - აცხადებენ ფრაქციაში.

"ქრისტიან-დემოკრატებმა" ალტერნატიული წინადადებები სასჯელალსრულების სისტემის ფუნქციონირების სხვადასხვა მიმართულებასთან დაკავშირებით მოამზადეს. ეს როგორც პატიმართა განათლებას, ისე საპატიმროში მყოფი მოქალაქეების ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ურთიერთობის საკითხებს ეხება. მათი აზრით, ხანგრძლივი პაემნების პრაქტიკა უნდა აღდგეს და პაემნების რაოდენობა გაიზარდოს, რაც ოჯახების შენარჩუნებას ხელს შეუწყობს.

"ქრისტიან-დემოკრატების" განცხადებით, ერთ-ერთ მწვავე თემას პატიმართა ჯანდაცვის საკითხებიც წარმოადგენს, რომელზეც სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობას გეგმავენ.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი დეპუტატი მაგალიანა ანიკაშვილია. მისი მიზანია პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების რეალურად შექმნა. კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში ორი კვირის წინათ მოხდა.

როგორც მაგალიანა ანიკაშვილია განაცხადა, კანონპროექტის თანახმად, პატიმართა პაემნების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს. კერძოდ, ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლება მსჯავრდებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს მიეცემა. ხანმოკლე პაემნის ხანგრძლივობა ერთ, ხოლო ხანგრძლივისა კი 72 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ხანგრძლივი პაემანი სასჯელალსრულების დაწესებულებაში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ სადგომში მოეწყობა. ხანგრძლივი შეხვედრის უფლება საკარანტიო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს არ მიეცემა.

ამავე პროექტით, ქალთა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს, თვეში სამი ხანმოკლე და წელიწადში ექვსი ხანგრძლივი პაემანი ჰქონდეს.

კანონპროექტი სხვა ცვლილებებსაც ითვალისწინებს, რომლის მიზანაც პატიმართა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაა.

მაგალიანა ანიკაშვილია თქმით, ყოფილ პატიმარს სოციალურ ინტეგრაციაში, უპირველესად, სწორედ ოჯახის წევრები უნდა დაეხმარონ. შესაბამისად, ხანგრძლივი პაემნების აღდგენა ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებას უკავშირდება.

როგორც დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, სამინისტრო დეპუტატებთან ამ საკითხზე დიალოგის დაწყებას მიესალმება. მისი თქმით, სასჯელალსრულების უწყება მზად არის, ყველა პრობლემა დიალოგის გზით გადაჭრას.

დიმიტრი შაშკინის თქმით, ხანგრძლივი პაემნების აღდგენა როგორც დროის, ისე ტექნიკურ პრობლემას უკავშირდება. კერძოდ, ხანგრძლივი პაემნებისთვის სამინისტრომ სასჯელალსრულების დაწესებულებებთან ცალკე კორპუსები უნდა ააშენოს, რასაც დრო და ფინანსები სჭირდება. სამინისტროს წინადადებაა, რომ ხანგრძლივი პაემნის ნაცვლად, მოკლევადიანი შევებულება იყოს შემოღებული. მოკლევადიანი შევებულება იმ პატიმრებს შეეხება, რომლებიც საზოგადოებისთვის საშიში არ არიან. სხვა დეტალები, სავარაუდოდ, ორ კვირაში დაზუსტდება.

გაფართოებულ შეხვედრას ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები დაესწრნენ, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ პატიმართა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება აუცილებელია. "ქრისტიან-დემოკრატები" ამ საკითხზე შეხვედრას მთავრობის სხვა წევრებთან გამართავენ. დიმიტრი შაშკინი აცხადებს, რომ ციხეებში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა პოლიტიკური ნება და არა კანონი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მინისტრს პატიმრებისთვის ნათესავების დაკრძალვაზე წასვლის ნების დართვის შესახებ კითხვა დაუსვეს, რაზეც შაშკინმა განმარტა, რომ "სადისტი არ არის, თუმცა იმ პატიმრებს, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის, დაკრძალვაზე დასწრების უფლებას ვერ მისცემს." მედიანიუსი

## პალიასტომის ტბაში ჩაძირული ცხედარი აღმოაჩინეს

პალიასტომის ტბაზე 23 იანვარს ქარიშხლის დროს ჩაძირული ბიჭის ცხედარი იპოვეს. როგორც ფოთის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, 19 წლის ირაკლი ცაავას ცხედარი ტბის ზედაპირზე წყალში ამოაგდო. ცაავასთან ერთად დაღუპული 40 წლის მამუკა გარუჩავას ცხედარს მამუკაზე ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

გარუჩავას და ცაავას ცხედარს რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ, მაგრამ მათი პოვნა ვერ მოხერხდა. ამის გამო სამაშველო სამსახურებმა ძებნა შეწყვიტეს და ტბასთან მორიგეობა დაიწყეს. წყლის ზედაპირზე ამოტივტივებული ირაკლი ცაავას ცხედარიც სწორედ მათ იპოვეს. მორიგეობა ისევ გრძელდება, რადგან გარუჩავას ცხედარი ჯერ ისევ ტბის ფსკერზეა. მედიანიუსი







# ჩრდილოეთი კორეა არჩევნების შემდეგ

მარიკა იახვილი



ჩრდილოეთ კორეაში უმაღლესი სახალხო კრების არჩევნები დასრულდა. მნიშვნელოვან ცვლილებებს არავინ ელოდება, თუმცა გარკვეული ინტერესი მაინც არსებობს. მიმოხილვებში მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ არჩევნების მიხედვით გამოიკვეთება, თუ ვინ იქნება ქვეყნის ამჟამინდელ ლიდერ კიმ ჩენ ირის მომავალი მემკვიდრე.

საარჩევნო პუნქტებთან რიგები დიდი დიდგამაა. როგორც მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებები იუწყებიან, წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობამ 90 პროცენტს ჯერ კიდევ საარჩევნო უბნების დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე გადააჭარბა.

თითოეულ ოლქში მხოლოდ ერთი კანდიდატია წარდგენილი. საარჩევნო პუნქტში შესული მოქალაქე ბიულეტენს იღებს, რომელზეც კანდიდატის გვარი წერია. არჩევანის გაკეთება კი გულისხმობს კანდიდატის სასარგებლოდ ან მის წინააღმდეგ ხმის მიცემას. წარმოდგენილი კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად მხოლოდ მისი გვარის გადახაზვაა საჭირო. თუმცა ეს უფლება პრაქტიკაში ჯერ არავის გამოუყენებია. მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შემდეგ, უზნიდან გასვლისას ამომრჩეველმა ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკის დამაარსებელ კიმ ირ სენისა და ამჟამინდელ ლიდერ კიმ ჩენ ირის პორტრეტების წინაშე თავი უნდა დახაროს.

როგორც წესი, სახალხო კრების უალტერნატივო არჩევნები ჩრდილოეთ კორეაში მხოლოდ ფორმალურია, რადგან წარდგენილი კანდიდატებს ოპონენტები არ ჰყავთ.

უმაღლესი სახალხო კრების დეპუტატებს 687 ადგილზე ირჩევენ. თუმცა, როგორც წესი, კანდიდატთა სია სრულყოფილად არასდროს ხმაურდება.

მიუხედავად კანდიდატთა ვინაობების გასაიდუმლოებისა, გავრცელდა ინ-

ფორმაცია, რომ საარჩევნო სიებში წელს პირველად მოხვდა ლიდერ კიმ ჩენ ირის შვილი კიმ ჩენ უნი.

მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში გაუღერდა ცნობები, რომ კიმ ჩენ ირმა ინსულტი გადაიტანა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მუდმივად განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება.

ჩრდილოეთ კორეულ ლიდერს თავისი მემკვიდრე ჯერ არ დაუსახელებია და დასავლელი დიპლომატები შიშობენ, რომ პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო დაამძიმებს კორეის ნახევარკუნძულზე არსებულ ვითარებას.

ვარაუდობენ, რომ კიმ ჩენ ირის ყველაზე რეალური მემკვიდრე მისი მესამე

შვილი, 26 წლის კიმ ჩენ უნი იქნება, რომელმაც განათლება შეიძარაში მიიღო. ამ ვარაუდს ამტკიცებს მისი სახელის საარჩევნო სიაში შეტანა - თუ, რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება.

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი მომჯობინდა და ქვეყანაში მკაცრი კონტროლის შენარჩუნება შეძლო, თავისი შვილისთვის გავლენიან სამხედრო პირებსა და პარტიულ ბოსებს შორის მემკვიდრის სტატუსის მოსაპოვებლად და გასამყარებლად წლები დასჭირდება.

თავად კიმ ჩენ ირს ხელისუფლებაში მოსვლისთვის მამამისი ოცი წლის განმავლობაში ამზადებდა.

არჩევნების საფუძველზე იმის შესახებაც შეიძლება მსჯელობა, თუ როგორ შეიცვალა სახალხო კრებაში კონსერვატორების, მკაცრი პოლიტიკის მიმდევრების გავლენა, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიო ცდილობს ჩრდილოეთ კორეაზე გავლენის მოხდენას და ფხენიანს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმისთვის არწმუნებს.

პარტიის ადრინდელ გავლენაზე მსჯელობისთვის საკმარისია გავიხსენოთ 2003 წლის არჩევნები, როდესაც ამომრჩეველთა აქტივობამ 99.9 პროცენტი შეადგინა და თითოეულმა კანდიდატმა 100 პროცენტით მხარდაჭერა მოიპოვა.

არჩევნები ჩრდილოეთ კორეაში საკ-

მაოდ გართულებული საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე ჩატარდა. ამ დროისთვის ორ კორეას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია. ექვსმხრივი მოლაპარაკება, რომელიც ფხენიანს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმის სანაცვლოდ ეკონომიკურ დახმარებას ჰპირდება, ჩინში შევიდა. გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეის მეზობლები მიიჩნევენ, რომ ხელოვნური თანამგზავრის გაშვების საბაზით მან შეიძლება შორეული მოქმედების ბალისტიკური რაკეტები გამოსცადოს.

გასულ კვირას ჩრდილოეთ კორეა აშშ-სა და სამხრეთ კორეის ყოველწლიური ერთობლივი სამხედრო წვრთნების წინააღმდეგ გამოვიდა. წვრთნები 9 მარტს უნდა დაიწყოს. მიუხედავად წვრთნების მონაწილე მხარეების მტკიცებისა, რომ ეს ტრადიციული ღონისძიებაა და ჩრდილოეთისთვის არავითარ რეალურ საფრხეს არ წარმოადგენს, ოფიციალურმა ფხენიანმა განაცხადა, რომ წვრთნები მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოეთ კორეაში შეჭრას და ბირთვული ომის პროვოცირებას ემსახურება. ამიტომაც, ოფიციალური ფხენიანის თქმით, ისინი ვერ იძლევიან გარანტიას, რომ წვრთნების მიმდინარეობისას სამხრეთ კორეული სამგზავრო ლიწინების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩრდილოეთი მეზობლის განცხადების შედეგად ორმა სამხრეთკორეულმა ავიაკომპანიამ ფრენების მარშრუტი ისე შეცვალა, რომ ის ჩრდილოეთ კორეის საჰაერო სივრცეზე აღარ გავიდეს.

აშშ-ს მალაჩინოსანმა წარმომადგენელი ჩრდილოეთ კორეაში სტივენ ბოსუორთი ამჟამად რეგიონში იმყოფება და ცდილობს, ჩინში შესულ მოლაპარაკებებს ახალი იმპულსი მისცეს.

მან შაბათს სამხრეთ კორეაში სიტყვით გამოსვლისას ფხენიანს რაკეტების გაშვებაზე უარის თქმისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ "ეს რეკომენდებული არ არის." ბოსუორთმა ფხენიანს სამხრეთით მეზობლის მიმართ აგრესიული ტონის შეცვლა ურჩია.

# "სამხედრო დესპოტ" მლადიჩის ადგილსამყოფელი ღოკალურიზაცია

ხათუნა გაბიძვი

სერბეთის სამართალდამცავი ორგანოების მტკიცებით, მათ უკვე დაადგინეს დედაქალაქში ის მიკრორაიონი, რომელსაც, სავარაუდოდ, თავს უნდა აფარებდეს ბოსნიელი სერბების არმიის ყოფილი ხელმძღვანელი რატკო მლადიჩი, მაგრამ ექსპერტები ეჭვობენ, რომ მისი ცოცხლად შეპყრობა ვერ მოხერხდება. "სამხედრო დესპოტად" შერაცხული გენერალი, რომელიც სამხედრო დანაშაულებშია ბრალდებული, უკვე 13 წელია იძებნება.

დღემდე თავისუფლებაში მყოფი ბოსნიელი სერბების არმიის ყოფილი მეთაური, რომელსაც ჰააგის ტრიბუნალი წლებია ეძებს, არასდროს ტოვებს თავშესაფარს, რომელიც ბელგრადის ერთ-ერთ მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლში მოიხსოვრება და მხოლოდ ერთ ადამიანს ეკონტაქტება.

გენერლის საიდუმლო ადგილსამყოფელის აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა სანდო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა.

"მლადიჩმა სრულებით განწყობა კავშირი გარესამყაროსთან, არ ეკონტაქტება არც ოჯახს და არც მეგობრებს. არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელმაც იცის გენერლის ადგილსამყოფელი. იგი მას 7-10 დღეში ერთხელ საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებს აწვდის," - მოუთხრო სერბეთის სპეცსამსახურების წყარომ ბელგრადის გაზეთ "პრესს".



ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი რატკო მლადიჩს, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში 1990-იან წლებში მომხდარი დანაშაულების გამო, 13 წელია, ეძებს. მლადიჩის ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების სანაცვლოდ სერბეთის ხელისუფლება ინფორმაციას მილიონი ევროს ოდენობის თანხას ჰპირდება.

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალთან არსებულმა სერბეთის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარემ რასიმ ლიჩიჩმა განაცხადა, რომ

მლადიჩს წლის ბოლომდე დააკავებდნენ. სერბეთის სპეცსამსახურები ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია გასცენ ძიების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ ადგილობრივი მასმედია გამუდმებით სარგებლობს საგამოძიებო წრესთან დაახლოებული პირებისგან ინფორმაციის "გაფორებით".

გაზეთ "პრესის" თანახმად, მლადიჩი ალბათ ბელგრადის რაიონ "ახალ ბელგრადში" არსებულ ერთ-ერთ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს უნდა აფარებდეს თავს.

ყოფილი იუგოსლავიის საკითხებში ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ მეორე ძებნილი, ბოსნიელი სერბების ყოფილი ლიდერი რადოვან კარაჯიჩი, რომელიც გასული წლის ზაფხულს შეიპყრეს, ბოლო წლებში სწორედ ამ რაიონში იმალებოდა.

"აღნიშნულ რაიონში შენობების უმრავლესობა მრავალსართულიანია, ასე რომ, მეზობლები ხშირად ერთმანეთსაც კი არ იცნობენ. მრავალრიცხოვანი მეზობლების გამო ხალხი ერთმანეთს არც აქცევს ყურადღებას. თუკი დავუშვებთ, რომ არსებობს დასამალად იდეალური ადგილი, გამოიძის, რომ ასეთი სწორედ ეს საცხოვრებელი მასივებია. მლადიჩმა კი, როგორც გამოცდილმა სამხედრომ, ეს მშვენივრად იცის. რომელიმე სოფელსა თუ დაბაში რაკეტებით მარტივად იქნებოდა მისი აღმოჩენა, რადგან ასეთი ტიპის დასახლებებში ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველამ ყველაფერი იცის - ახალი ადამიანი ცნობისმოყვარე თვალისგან ასე იოლად ვერ დაიმალება," - დასძინს გაზეთთან საუბარში სპეცსამსახურების წარმომადგენელი.

წყაროსევე თქმით, სერბეთის სპეცსამსახურებს არ შეუძლიათ უზარმაზარი რაიონისთვის ალყის შემორტყმა და ყოველი კუთხე-კუნჭულის გადაჩხრეკა, მაგრამ ყურადღებით ადევნებენ თვალს ზოგიერთ "არალოგიკურ" ფაქტს. მაგალითად, ყურადღება ექცევა იმ ბინებს, რომელთა კომუნალური გადასახადების დაფარვა დროულად ხდება, რეგულარულად ფიქსირდება წყლისა და ელექტროენერჯის დანახარჯი, მაგრამ არ ხორციელდება სატელეფონო ზარები.

გარდა ამისა, სპეციალისტებმა იმ რისკფაქტორებზეც იფიქრეს, რაც შეიძლება მლადიჩის დაკავებას ახლდეს. პროგრნის თანახმად, გენერლის დაკავების შანსი პოლიციასთან შეჯახებისა და მსხვერპლის გარეშე მინიმალურია. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სპეცოპერაციის ჩატარების შემთხვევაში 100-დან 80 პროცენტია იმის ალბათობა, რომ რატკო მლადიჩი წინააღმდეგობის განევას შეეცდება ან, უბრალოდ, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს.



ბიკოლა დიანა თოფურია, ბიძაშვილები ანა, ლია, ირა თოფურიები, სიძეები თენგიზ ცერცვაძე, ნოდარ ჯორჯაძე, აკა გვახარია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლევან რაულის კი თოფურია**  
დაკრძალვა 14 მარტს, შაბათს, 3 საათზე. მისამართი: აბაშა, თავისუფლების 73.



# დასავლური დემოკრატია ჩინეთისთვის მიუღებელია

მარიკა იაშვილი

დასავლური ტიპის დემოკრატია ჩინეთში არასოდეს იქნება, - აცხადებს ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე უ ბანგო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა "არასოდეს გადაიღებს იმ სისტემას, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ხელისუფლებაში ერთმანეთს სხვადასხვა პარტიები ენაცვლებიან," - განაცხადა უ ბანგომ სახალხო კრების სესიაზე გამოსვლისას.

რამდენიმე თვით ადრე, ამ საკითხზე ჩინეთის პრემიერმა ვენ ცზიამომაც ისაუბრა. თუმცა მისი ტონი, თანპარტიელისგან განსხვავებით, ნაკლებად კატეგორიული იყო. სატელევიზიო ინტერვიუს ფარგლებში დასმულ კითხვაზე, იქნება თუ არა ჩინეთში შესაძლებელი ალტერნატიული არჩევნების ჩატარება 25 წლის შემდეგ, ცზიამომ ასეთი პასუხი გასცა: "ჩემთვის რთულია მომავლის წინასწარმეტყველება."

67 წლის უ ბანგო ჩინური კომუნისტების იერარქიაში, პრეზიდენტისა და კომპარტიის გენერალურ მდივან ხუ ცზინტაოს შემდეგ, ფორმალურად, მეორე ადამიანად ითვლება.

ჩინეთში დღეს არსებული წყობა, რომელიც ხელისუფლების მემკვიდრეობითობას გულისხმობს, ორ პრინციპს ემყარება.

ლიდერი პოსტზე დაახლოებით 60 წლის ასაკში ადის და დამსახურებულ დასვენებას 70 წლის ასაკში იწყებს.

მისი მემკვიდრე კი კომუნისტური პარტიის ზედა საფეხურებზე ხელისუფლების შეცვლამდე ხუთი წლით ადრე უნდა გამოჩნდეს, რათა მისი არსებობა ჩინელებისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის მოულოდნელი არ იყოს და ამავე დროს, თავად მან გამოცდილების მიღება მოასწროს.



მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარლამენტი სრული შემადგენლობით წელიწადში მხოლოდ ერთხელ იკრიბება.

მემკვიდრეობის პრეტენდენტთა ლია შეჯიბრებას, ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიების გამართვას და არჩევის პროცესში რიგითი მოქალაქეების მონაწილეობას სისტემა არ გულისხმობს.

საინტერესოა ჩინეთის პარლამენტის მუშაობის პრინციპიც.

მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარლამენტი, რომელსაც სამი ათასი წევრი ყავს, სრული შემადგენლობით წელიწადში მხოლოდ ერთხელ იკრიბება. ამ ღირსშესანიშნავ დღეს დეპუტატების უმ-

რავლესობა პარლამენტის შენობასთან ავტობუსებით მიყავთ და პირველი, რასაც ისინი აკეთებენ, უზარმაზარი შენობის კიბეებზე სამახსოვრო ფოტოების გადაღებაა.

ზუსტად 9 საათზე დარბაზში სამხედრო ორკესტრი იწყებს დაკვრას და სცენაზე პოლიტიბუროს წევრები ჩნდებიან. მათ წინ ხუ ძინტაო მიუძღვით, დანარჩენები კი ერთ ჯგუფად შეკრულები მიდიან. ბელადები მუსიკას ტაშს აყოლებენ, რაც დღის განმავლობაში ემოციების ყველაზე მხურვალე გამოვლინებაა.

პარლამენტში ხატოვანი სიტყვით გამოსვლა ჩინეთში მიღებული არ არის. პირველი მოხსენება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით პრემიერმა ვენ ცზიამომ წააკითხა. კარგი მოხსენება, ჩინელების გემოვნებით, ციფრებით უნდა იყოს გაჯერებული და მონოტონურად იკითხებოდეს. მოხსენების ტექსტი დეპუტატებს წინასწარ ურიგდებათ და თითოეული ფურცლის გადაშლა დარბაზში დიდ ხმაურს იწვევს, რადგან ამას სამი ათასი ადამიანი ერთდროულად

აკეთებს. პარლამენტის სხდომა და ორ საათიანი გამოსვლები - ეს რთული გამოცდაა, რომელსაც ყველა ვერ უძლებს.

პარლამენტის სესია, რომელიც გასულ ხუთშაბათს გაიხსნა, დაახლოებით რვა დღეს გაგრძელდება. სესიის ფარგლებში დისკუსიები დაგეგმილი არ არის. პარლამენტის სხდომებს ხომ ჩინეთში არა გადანყვეტილებების მისაღებად, არამედ დიდი ხნით ადრე ვინრო წრეში მიღებული გადანყვეტილებების გასახმაურებლად იწვევენ.

# კარინსკი ვაშინგტონის შესაძლო გადაწყვეტილებას აკრიტიკებს

მარიკა იაშვილი

აშშ-ს შესაძლო უარი პოლონეთს ტერიტორიაზე რაკეტსანინალმდებო თავდაცვითი სისტემების განთავსების თაობაზე, ვარშავის მიმართ "შეგობრული უესტი ნამდვილად არ იქნება," - მიაჩნია პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის.

სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტმა კიდევ ერთელ გაიხსენა, რომ შეთანხმება, პოლონეთში ამერიკული თავდაცვითი სისტემების განთავსებაზე უკვე ხელმოწერილია

და ახლა მისი რეალიზების დრო დადგა. "შეთანხმებას ხელი უკვე მოეწერა და მიმართა, რომ მისი რეალიზება იმის მიუხედავად უნდა მოხდეს, თუ ვინ არის ახლა აშშ-ს ადმინისტრაციაში," - განაცხადა კაჩინსკიმ. ამავედროულად, პოლონეთის პრეზიდენტმა ისიც აღიარა, რომ დოკუმენტის რატიფიკაცია ჯერ კიდევ არც ერთი მხარის მიერ არ მომხდარა.

პოლონეთის პრეზიდენტის აზრით, რაკეტსანინალმდებო თავდაცვითი სისტემებს პოლონეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს,



ლევ კაჩინსკი

თუმცა არა ქვეყნის უსაფრთხოების, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით.

აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის წინამორბედთაგან განსხვავებულ დამოკიდებულებაზე და თავდაცვითი სისტემების განთავსებაზე შესაძლო უარზე საუბრისას, რომელიც მოსკოვისა და ვაშინგტონის შეთანხმებით იქნება განპირობებული, კაჩინსკიმ აღნიშნა: "ჩნდება კითხვა - უნდა იქცეს თუ არა პოლონეთის მსგავსი ლოიალური პარტნიორი ამდგავარი მოლაპარაკებების მსხვერპლად?"

# ვენესუელა VS კოლუმბია

ხათუნა ბაბიჯი

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი კოლუმბიის თავდაცვის მინისტრ ხუან მანუელ სანტოსს აკრიტიკებს და მას მთელი ლათინური ამერიკისთვის საფრთხედ მოიხსენიებს. ჩავესმა საკვირაო საჯარო გამოსვლისას აღნიშნა, რომ კოლუმბიის მხრიდან სამხედრო პროვოკაციის დაწყების შემთხვევაში, ვენესუელა

ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციებით პასუხისთვის მზად არის.

ჩავესის გაღიზიანება გამოიწვია სანტოსის გამაფრთხილებელმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ კოლუმბიის შეიარაღებულ ძალებს გამოიყენებენ კოლუმბიელი მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძოლაში თუნდაც მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე.

"ვენესუელას სუვერენიტეტის ხელყოფის შემთხვევაში, მართა-

ლია, ნუხილითა და გულისტკივილით, მაგრამ მაინც გავცემ ბრძანებას, ავიამოიერიშებითა და ტანკებით გადავიდეთ შეტევაზე. ვერავის ვაპატიებ, უპატივცემულოდ მოექცეს ვენესუელას," - აღნიშნა ჩავესმა თავის ყოველკვირეულ სატელევიზიო პროგრამაში "ალო, პრეზიდენტია".

ცნობისთვის, კოლუმბიისა და ვენესუელას ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც გასული წლის მარტში,

კოლუმბიელმა სამხედროებმა ეკვადორში, "კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული მოძრაობის" ბანაკი დაბომბეს. მაშინ ორმა ლათინოამერიკულმა ქვეყანამ ერთმანეთთან დიპლომატიური კავშირი განწყვიტა, ხოლო ჩავესმა კოლუმბიის ქმედება ეკვადორის სუვერენიტეტის შელახვად მიიჩნია და კოლუმბიის საზღვრისკენ რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ტანკები გადაისროლა.

რამდენად სერიოზულია ჩავესის

მუქარა, ჯერჯერობით რთული სათქმელია, რადგან კოლუმბიის პრეზიდენტმა ალვარო ურიბემ თავდაცვის მინისტრის პოზიცია არ გაიზიარა და მის განცხადებას უადგილო და წინდაუხედავი მოქმედების შედეგი უწოდა. თუმცა, კოლუმბიელი კოლეგისგან ჩავესი, როგორც ჩანს, მეტს ელის, რადგან მას ძალიან აკვირვებს ის ფაქტი, რომ ხუან მანუელ სანტოსი თანამდებობაზე ჯერ კიდევ რჩება.



# რევოლუ



ზუსტად 50 წლის წინ - 1959 წლის 9 მარტს მსოფლიომ ბარბი გაიკვნო. თოჭინა, რომელმაც ამ წლების განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა იმიჯი და პირადი ცხოვრება, რომელსაც მსოფლიოს სახელგანთქმული დიზაინერები აცმევდნენ, ხოლო საუკეთესო არქიტექტორები მის სახლს აპროექტებდნენ. მილიონობით გოგონას საყვარელი სათამაშოა. ხოლო თოჭინების კოლექციონერებისთვის ძვირფასი ექსპონატი. ბარბის იუბილე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აღინიშნა. მათ შორის ავსტრალიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და იაპონიაში.

AFP - 2009

## მადონა - დროში ჩარჩენილი ბებრუნა

მომღერალი მეფეთა ცხოვრებით დაინტერესდა და ფილმს იღებს

ცხოველთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია PETA-მ ყველაზე ცუდად ჩაცმული ცნობილი ადამიანების ყოველწლიური სია გამოაქვეყნა. ამ ორგანიზაციას შეფასებების საკუთარი კრიტერიუმები აქვს და თავის "მსხვერპლებს" არა მარტო ტენდენციების მიხედვით, არამედ გარდერობში ნატურალური ტყავისა და ბუნვეულის სიმრავლის მიხედვით აფასებს. წელს პირველი ადგილი პოპ მუსიკის დედოფალ მადონას ერგო. როგორც PETA-ს წარმომადგენლები აცხადებენ, ორგანიზაციამ ამგვარად გადაუხადა ვარსკვლავს სამაგიერო იმის გამო, რომ მადონამ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად მაინც არ შეწყვიტა ბუნვეულით შემოსვა. როგორც PETA-ს დასკვნაშია აღნიშნული, მადონა ტიპური "მატერიალური გოგონაა", მისთვის მთავარია ძვირფასეულობა და ფუფუნების საგნები, ამიტომ არად დაგიდევთ საცოდავი ცხოველების სიცოცხლეს. "როდესაც მადონას ბუნვეულით შემოსილს ნახავთ, მაშინვე მიხვდებით, რატომ აღარ იღებენ მის სტილს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. მისი იმიჯი აღარაა მოდური, პირიქით, მადონა დროში ჩარჩენილ ბებრუნას უფრო

ჰგავს. ჩვენ ისიც ვიცით, ვისთვის იპრანჭება ასე საგანგებოდ: გაი რიჩისთან განქორწინებისთანავე მან რომანი გააბა ახალგაზრდა ბრაზილიელ მოდელთან. ამ უკანასკნელს კი შეეახსენებთ, რომ 50 წლის ქალბატონს ბუნვეული ვერ გააკეთებთ ბუნებრივად აღნიშნა PETA-ს წარმომადგენელმა პრესასთან საუბრისას. მადონამ ამ ანტირეიტინგში დემი მურსა და მის მეუღლე ეშტონ კეტჩერს გაუსწრო. ამ წყვილმა კი თავის მხრივ უკან ჩამოიტოვა მომღერალი მერი ჯეი ბლაიჯი და მოდელი კეიტ მოსი. სამარცხვინო რეიტინგში ასევე შეხვდებით მერი ქეით და ელი ოლსენებს, მეგი გილენშაასს, კენი უესტს და ელიზაბეტ ჰარლისს. მადონას კი სულაც არ აინტერესებს, რას ფიქრობენ მის შესახებ და უდარდელად ცხოვრებას განაგრძობს. ცოტა ხნის წინ კი გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოპდივა ინგლისის მეფე ედუარდ მერვეს სიყვარულის ისტორიის მიხედვით ფილმის გადაღებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის მონარქია, რომელმაც სიყვარულის გამო ინგლისის ტახტზე უარი თქვა და ცოლად ამერიკელი მომღერალი უოლის სიმპსონი შეირთო.



შედეგად კი ტახტზე ინგლისის ამჟამინდელი დედოფლის მამა ავიდა.

როგორც მადონას წარმომადგენელი აცხადებს, მომღერალს დიდი ხანია

ამ ისტორიის ეკრანზე გადმოტანა სურდა, ხოლო ამერიკელი მომღერლის როლის შესრულებას თავად აპირებს. ამ იდეის განხორციელება მადონას პირად ცხოვრებაში მიმდინარე პრობლემების გამო გაჭიანურდა. ახლა კი მომღერალი თავისუფალია და მზადაა სამუშაოში მთლიანად ჩაერთოს. მადონას წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ მომღერალი იმდენადაა პროექტით შეპყრობილი, რომ საძინებელი ოთახის კედლები მთლიანად ამ ისტორიასთან დაკავშირებული საგაზეთო სტატიებითა და ფოტოებით აქვს გავსებული. ედუარდ მერვისა და ამერიკელი მომღერლის სიყვარულის ისტორია 1934 წელს დაიწყო. როდესაც ედუარდის მამა, მეფე გეორგ მეხუთე გარდაიცვალა და მისი გამეფების საკითხი დადგა, ორჯერ განქორწინებულ ქალთან რომანის შეწყვეტა მოსთხოვეს. ამაზე პრინცმა კატეგორიული უარი განაცხადა და სიყვარულის გამო სამეფო გვირგვინი დათმო. მოგვიანებით კი საყვარელი ქალი ცოლად შეირთო. ქორწინების შემდეგ წყვილი უინძორის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ტიტულს ატარებდა და ამერიკასა და საფრანგეთში ცხოვრობდა.



### დღეს კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამო გაიმართება

დღეს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლებს. საკონცერტო პროგრამაში შესულია მუსიკა კინო-ფილმებიდან "განაჩენი", "ძველი თბილისი" და "დათა თუ-თაშხია", ასევე ოპერის "იყო მერვესა ნელსა" ფინალური ნაწილი. ღონისძიებაზე გაიმართება პრემიერა სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისთვის შექმნილი ნაწარმოების - "რჩება სიმღერის ხმა". კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ოპერის თეატრის სოლისტები თეიმურაზ გუგუშვილი და მაცყვალა ასანიძე, ესტრადის მომღერლები - მარიამ როინიშვილი, აჩიკო ნიჭარაძე, პაატა ცეცხლაძე და დავით სუმბაძე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდსა და ორკესტრს გოგი ჭიჭინაძე უდიროფორებს. საღამოს რეჟისორია მაია გაჩეჩილაძე. საღამო "პირველი არხის" პირდაპირი ეთერით იქნება ნაჩვენები. **მედიაიუსი**

### კოდორიდან დევნილი ბავშვების დასახმარებლად გუშინ საქველმოქმედო საღამო გაიმართა

საღამოს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საფრანგეთის აკადემიის საპატიო წევრის ალენ დეკოს პატრონაჟითა და შპს "ტოლიოტა კავკასიის" ფინანსური ხელშეწყობით ასოციაცია "სოს ქართველი ბავშვები" გამართა. კონცერტში თეატრალური უნივერსიტეტის ჯგუფი "თეატრალური" (პატრიოტის II პრიზის მფლობელი) და პრინც მიუ-რატის ქართულ-ფრანგული კოლექტის ანსამბლი "ჰარიარ" მონაწილეობდნენ.

ასოციაცია "სოს ქართველი ბავშვები" ზუგდიდის რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების დასახმარებლად საქველმოქმედო აქციებსა და კონცერტებს წლების განმავლობაში აწყობდა. კონცერტიდან შემოსული თანხა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაზარალებულ, კოდორის ხეობიდან დევნილ ბავშვებს მოხმარდება. **პირველი**

### ოპერის მომღერალმა ქალაქი ვანდალენისგან იხსნა

გამოჩენილი საოპერო მომღერლის კირი ტე კანავას (Kiri Te Kanawa) ხმამ ვანდალენი უეიტაკარე სიითი (Waitakare City) ცენტრიდან განდევნა. ოკლენდის გარეუბნის მერის - ბობ ჰარვეის (Bob Harvey) სიტყვების თანახმად, ხულიგნები ქუჩის ქანდაკებებსა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს მას შემდეგ აღარ აფუჭებენ, რაც უეიტაკარეს ცენტრალურ ნაწილში რეგულარულად გადაიცემა კლასიკური მუსიკა, მათ შორის კირი ტე კანავას მიერ შესრულებული არიები. ამის შესახებ ინფორმაციას AFR ავრცელებს.

ქალაქის ქუჩებში მუსიკა უკვე სამი წელია ისმის. ამ პროგრამაში ჩართულია მოცარტის ვივალდის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები... "მაგრამ მე მიმანჩია, რომ ყველაფერი ქალბატონ კირის დამსახურებაა... თუ თქვენ ასეთი მუსიკა არ მოგწონთ, მაშინ რატომ იმყოფებით იქ, სადაც ის ისმის?", - განაცხადა უეიტაკარე-სიითის მერმა.

სააგენტოს მონაცემებით, სხვა ახალზელანდიურ ქალაქში - კრაისჩერჩემში - ხელისუფლება გეგმავს საფაქრო ადგილებში ამერიკელი საესტრადო მომღერლის ბარი მანილოვის სიმღერები გადასცეს.

### ყურნალი Playboy არქივის სურათებს ყიდის

ყურნალი Playboy-ს აუქციონზე მის არქივში დაცულ ილუსტრაციებს გამოიტანს. ეს ნამუშევრები ცნობილი მხატვრების მიერაა შესრულებული, რომლებიც გამომცემლობასთან სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ. იტყობინება Associated Press. 12 მარტს აუქციონს კომპანია Heritage Auction Galleries ჩაატარებს. აუქციონი, რომელზეც 17 ნამუშევარს წარმოადგენენ, ჩატარდება ლონდონში "მე ვკითხულობ Playboy-ს ხელოვნებისთვის" (Playboy - I Read It For The Art). გასაყიდად გამოიზნულ ნამუშევრებს შორის წარმოდგენილია: ალბერტო ვარგასი (Alberto Vargas), რომელიც "პინ-აპის" სტილში მუშაობს, უილ ელდერის (Will Elder) კარიკატურები და ჰარვი კურტცმანის (Harvey Kurtzman) ეროტიული კომიქსები. Playboy-ის გასული წლის აუქციონზე, რომელზეც ასევე ჩვიდმეტი ნამუშევარი იყო გამოტანილი, 230 ათასი დოლარი შევიდა.

### ჰორტონ ფუტი

92 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი დრამატურგი და სცენარისტი ჰორტონ ფუტი (Horton Foote), იტყობინება Associated Press. ფუტის კარიერა ბროდვეიზე 1940-იან წლებში დაიწყო. ის იყო ერთ-ერთი დამაარსებელი თეატრალური გაერთიანების American Actors Company და სცენაზე თამაშიც მოსწონდა. სულ მალე ფუტმა გადაწყვიტა მთელი ყურადღება პიესების შექმნაზე გადაეტანა. 1944 წელს ბროდვეიზე შედგა მისი პირველი პიესის - "მხოლოდ გული" პრემიერა, რომელმაც კრიტიკოსების დამაკმაყოფილებელი გამოხმაურება გამოიწვია.

მოგვიანებით ფუტმა პიესების წერას კინოფილმებისთვის განსაზღვრულ სცენარებზე მუშაობა შეუთავსა. მან ორჯერ მიიღო პრემია "ოსკარი" - 1963 წელს ჰარპერ ლის რომანის ადაპტირებული სცენარისთვის, ხოლო 1984 წელს - ფილმ "ნაზი მოწყალეების" ორიგინალური სცენარისთვის. 1997 წელს ფუტმა უილიამ ფოლკნერის რომანის "მოხუცი" მიხედვით გადაღებული ტელეფილმის სცენარისთვის "ემი" მოიპოვა. 1995 წელს ფუტმა პიესისათვის "ახალგაზრდა ატლანტიდან" პრესტიჟული ამერიკული პრემია დაიმსახურა, რომელიც ყურნალისტიკის, ლიტერატურისა და მუსიკის სფეროში გაიცემა.

ნეკროლოგში, რომელიც AP - მ მოამზადა, ნათქვამია, რომ მისი ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, ის ბოლო დღემდე აქტიურად მოვალეობდა. ფუტის უკანასკნელი დაუმთავრებელი ნაწარმოები ცხრა პიესისგან შემდგარი ციკლის - "The Orphans Home Cycle" ახალი ვერსია, რომლის პრემიერაც 2009 წლის შემოდგომაზე უნდა შემდგარიყო.

# ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი

თბილისში, კინოთეატრ "რუსთაველის" წინ ცნობილი ქართველი კინომსახიობის ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავის გახსნამდე კინოთეატრში მსახიობის საპატივსაცემოდ საღამო გაიმართა, რომელსაც ქართული კინოს ცნობილი მოღვაწეები და ხელოვნები, აგრეთვე, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საღამოზე ლეილა აბაშიძის მონაწილეობით ცნობილი კინოფილმების კადრები იყო ნაჩვენები, აგრეთვე, ჰოლივუდის და ევროპული კინოს ვარსკვლავებთან ერთად გადაღებული მისი ფოტოები, სადაც ქართველი ვარსკვლავი ოდრი ჰეპბერნსა და ჯინა-ლოლო ბრიჯიდას სილამაზეში ტოლს არ უდებს.

მსახიობი მის საპატივსაცემოდ მონაწილეობდა ღონისძიებაზე ემოციებს ვერ მალავდა სხვა მოგონებებთან ერთად ბავშვობის ის ეპიზოდც გაიხსენა, სადაც ოჯახთან ერთად ციმბირში გადასახლებისას, 5 წლის ასაკში დიდი მსახიობობა უწინასწარმეტყველეს.

"მე დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან აღარ ვიქნები ამ



ქვეყანაზე და ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემის სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის. მითუმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის ნატო ვაჩანაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა უპირველს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს ვისაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვის, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალეობით წარსდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა

ბელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს ვისაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვის, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალეობით წარსდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა

საქართველო ვარსკვლავების ქვეყანად იქცეს", - განაცხადა ქართული კინოს ვარსკვლავმა ლეილა აბაშიძემ.

ვარსკვლავის გახსნის საღამოს ორგანიზატორის დავით ოქიტაშვილის განცხადებით, ლეილა აბაშიძის ვარსკვლავის გახსნა დიდი ხნის წინ გადაწყდა, მაგრამ სპეციალურად ამ დღეს ელოდებოდნენ, რადგან 8 მარტისთვის უნდოდათ დაემთხვიათ.

როგორც ცნობილმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ განაცხადა, ლეილა აბაშიძე ქართული კინოსთვის იყო თავისი ერის ხასიათის, რწმენის და ეროვნულობის სახე.

"სწორედ ამაზე დაყრდნობით ხატავდნენ თავის პერსონაჟებს ფილმებში. ახლაც კი, საქართველოსთვის ყველაზე მძიმე მომენტებში, უჩვენებენ "მაია წყნეთელს" და პატრიოტულ თემზე შექმნილ სხვა ფილმებს. ქართული კინო იყო ეროვნულობის მქადაგებელი და როცა ის ისევ აღორძინდება, საფუძვლად სწორედ ეს ეროვნულობა უნდა ედოს და ეს ხაზი უნდა გაგრძელდეს", - განაცხადა რეზო ჩხეიძემ.

**მედიაიუსი**

# რუსეთს უკრაინელი წარადგენს

ანასტასია პრიხოდეკოს გამარჯვებამ რუსულ შოუ ბიზნესში სკანდალი გამოიწვია

ნა ვეკუა

თავგმა თხარა, თხარაო. კატა გამოთხარაო, ზუსტად რუსეთზეა ნათქვამი. იმდენ ხანს და ისეთი გააფთრებით ეძებდა სკანდალს სტეფანესა და 3G-ს "ევროვიზიისთვის" შერჩეულ სიმღერაში, ვიდრე საკუთარი სკანდალის პირისპირ არ აღმოჩნდა. ჰოდა, იყოს ახლა და არჩიოს, ვინ და რა სიმღერით წარადგენს რუსეთს ევროპულ კონკურსზე. სკანდალი კი 8 მარტს ჩატარებული შესარჩევი კონკურსის დასრულების შემდეგ დაიწყო, როდესაც გაირკვა, რომ "ევროვიზიის" მასპინძელ ქვეყანას სულ სხვა ეროვნების მომღერალი წარადგენს, რომელიც სიმღერას მშობლიურ ენაზე აპირებს.



სცენისთვის? არავინ. ეს არის მომღერალი, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია და ამრიგად არც რუსეთის "ევროვიზიაზე" წარადგენას იმსახურებს". მან ისიც აღნიშნა, რომ ანასტასია პრიხოდეკო შედეგების გამოქვეყნებამდე გაიყვანეს ცალკე ოთახში და სცენაზე გამარჯვებულის სტატუსით გასასვლელად მოამზადეს. პრიხოდეკოს პრეტენზია აქვს პრიხოდეკოს სიმღერის მიმართაც, რომელიც უკრაინულ ენაზეა: "ვფიქრობ, თუ პრიხოდეკო "ევროვიზიაზე" მანინც გავა, ამ სიმღერის ტექსტი რუსულად უნდა ითარგმნოს". თუმცა თავად პრიხოდეკოს საწინააღმდეგო პროგნოზის არაფერი აქვს და მიიჩნევს, რომ უკრაინელმა მომღერალმა საკმაოდ კარგად იმღერა.

როდესაც საკონკურსო კონცერტი დასრულდა და მაყურებელი გამარჯვებულის გამოვლენის მოლოდინში გაინაბა, სკანდალის მომწიფება სწორედ მაშინ დაიწყო. შიდა კონკურსის საორგანიზატორი კომიტეტის წევრები ალბათ ახლაც კანკალით იხსენებენ, როგორ გროვდებოდა მაყურებლის მიერ გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები ანასტასია პრიხოდეკოს ანგარიშზე (საერთო ხმათა 25%), ხოლო ბოშიში მაშინ აფეთქდა, როდესაც გაირკვა, რომ 11 კაციანი ჟიურის ექვსმა წევრმა ხმა სწორედ უკრაინელი მომღერლის სასარგებლოდ მისცა.

ეს მომღერალი ცნობილი რეალური შოუ "ვარსკვლავების ფაბრიკა 7-ში" მონაწილეობის შემდეგ გახდა. თავიდან მას მონაწილეობა უკრაინის შიდა მე-სარჩევი კონკურსში უნდა მიეღო, თუმცა დისკვალიფიკაციის გამო საკონკურსო შემადგენლობაში ვერ მოხვდა (საკმაოდ საინტერესოა მისი დისკვალიფიკაციის მიზეზი - ანასტასიამ უკრაინის შიდა კონკურსზე კონსტანტინე მელაძის რუსულენოვანი სიმღერის შესრულება მოისურვა). სამაგიეროდ რუსულმა სცენამ ჩაიხუტა და მაქსიმალურ შედეგამდე მიღწევის საშუალებაც მისცა. მისმა გამარჯვებამ კი სკანდალის გარდა რუსული შოუ ბიზნესის წევრთა შორის დაპირისპირებაც გამოიწვია. როგორც აღმოჩნდა, 11 კაციანი ჟიურის ხმები მასა და ვალერიას შორის გადანაწილდა. ვალერიამ 5 ხმა მიიღო. ვალერიას სასარგებლოდ ხმა იგორ კრუტოიმ და პროდიუსერმა მაქსიმ ფადეევამ მისცეს. ამ უკანასკნელმა აღნიშნა: "სამი პრეტენდენტიდან გამარჯვების

რეალური შანსი ვალერიას ჰქონდა. ის დანარჩენებთან შედარებით გამოცდილი და პროფესიონალი მომღერალია". აქვე ფეხი გამოყო დიმა ბილანის "კუკლა" პროდიუსერმა იანა რუდოვსკიამ და კრუტოისა და ფადეევის არჩევანი მოიწონა: "ყველაზე მეტად ვალერია მომეწონა და მას ვგულშემატკივრობდი. ის საინტერესო არტისტი და პროფესიონალია".

აქვე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა ვალერიას პროდიუსერმა მეუღლე იოსიფ პრიგოჟინმა, რომელმაც "ევროვიზიის" შესარჩევი კონკურსის შედეგები გაყალბებულად მონათლა და კონკურსის თავიდან ჩატარება მოითხოვა. ისე, თუ ამ კაცს მოეუსმინთ, სადაც სიმართლის მარცვალს კი აღმოვაჩინთ: "ვერაფრით დავიჯერებ, რომ რუსეთის კონკურსში სამართლიანად გაიმარჯვა მომღერალმა, რომელიც უკრაინის ეროვნულობის ფინალისტებს შორისაც ვერ მოხვდა და საბოლოოდ დისკვალიფიკაცია მიიღო. ვინ არის პრიხოდეკო რუსული

ზემოთ აღნიშნულ პრეტენზიებს უპირისპირდება ანასტასია პრიხოდეკოს პროდიუსერი კონსტანტინე მელაძე. იგი მიიჩნევს, რომ ანასტასიას "ევროვიზიაში" მონაწილეობა სრულიად სამართლიანია და განხილვას არ უნდა ექვემდებარებოდეს. "ანასტასიას არჩევა ნიშნავს, რომ რუსი მსმენელი თანამედროვედ აზროვნებს და მზადაა შანსი მისცეს დამწყებ მომღერალს", - აღნიშნა მელაძემ.

ანასტასია პრიხოდეკოს შიდა შესარჩევი კონკურსში გამარჯვება "ევროვიზიის" შარშანდელმა გამარჯვებულმა დიმა ბილანმაც მიულოცა და სიმბოლურად ის სამკაული გადასცა, რომელიც ფინალურ კონკურსზე თავად ეკეთა. რამდენად გაუმართლებს ანასტასია პრიხოდეკოს 2009 წლის კონკურსზე, ამაზე რუსეთმა იფიქროს, ჩვენ კი ჩვენებს მივხედოთ...

...ამ გახსენებაზე - ალა პუგაჩოვამ რომ დიდი სცენიდან ნასვლა და დამსახურებულ პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა, იცოდით? ამ ინფორმაციასთან შედარებით "ევროვიზიის" სკანდალები აბა რა სახსენებელია!..



# "სიტყვას ვიტყვი, სამ ქუხილი დაიწყო", ანუ ლებანდის გაბრძობა

ბელა ჩაქარიძე

31 მაისს, თბილისში, გორგასლის მოედანზე, ძველი ქალაქელები შეიკრიბნენ რომ ეძახდნენ, საიათნოვას მემორიალური კომპოზიცია გაიხსნება. მე-18 საუკუნის აშული, რომელიც ქართულ, სომხურ და სპარსულ ენებზე წერდა და მღეროდა, თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ლეგენდად იქცა, რომელიც დღემდე გრძელდება. ალბათ, ასეთია იმ სიტყვის ძალა, ცას ქუხილს რომ აწყებინებს...

საიათნოვას მემორიალური კომპოზიცია ძველი თბილისის უბნების რეაბილიტაციის პროექტის ნაწილია. როგორც დედაქალაქის ვიცე მერმა მამუკა ახვლედიანმა აღნიშნა, წელს განხორციელდება კალაუზნის რეაბილიტაცია, სადაც პატარა სკვერის მოწყობაც იყო გათვალისწინებული. მერიისა და საქართველოში სომხეთის საელჩოს ერთობლივი ინიციატივით გადაწყდა ამ სკვერში ძველი ლეგენდის გაცოცხლება, რომელსაც მოქანდაკე გია ჯაფარიძე და არქიტექტორი კახა ქოროძე განახორციელებენ.

ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდმა და საქართველოს არქიტექტურთა კავშირმა ამ მემორიალური კომპოზიციის პროექტზე ერთი თვის წინ კონკურსი გამოაცხადა, სადაც 14 კონკურსანტი და 2 კონკურსგარეშე პირი იღებდა მონაწილეობას. შედეგები 7 მარტს გახდა ცნობილი. გამარჯვებული ავტორისათვის დაწესებული იყო ფულადი პრემია ოთხი ათასი ლარის ოდენობით.

ექვსკაციანმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ არქიტექტორები და მოქანდაკეები, ხოლო თავმჯდომარე ქალაქის ვიცე მერი გახლდათ, პრიორიტეტი მიანიჭა მამუკეარს, სადაც აქცენტები კეთდებოდა საიათნოვას მემორიალურ კომპოზიციას და არა მის პორტრეტზე.

**მამუკა ახვლედიანი:** "ჟიურის ყველა წევრმა დამოუკიდებლად იმუშავა და გადაწყვეტილება ბოლო მომენტში მივიღეთ. უნდა გითხრათ, რომ გავიჭირდა, თუმცა ერთ რამეზე შევთანხმდით: გამოდინარე იქიდან, რომ საიათნოვას სახე ისტორიას არ შემოუნახავს, მისი ძეგლის დადგმა ნიშნავდა, რომ ჩვენ ახალ სახეს ვქმნი-



დით. ამიტომ, მემორიალის ამგვარ გადაწყვეტას გვერდი ავუარეთ და ის ნამუშევარი ავარჩიეთ, სადაც ხაზგასმა იყო ამ თბილისელი აშულის მოღვაწეობაზე, მის დანატოვარ მემკვიდრეობაზე, ანუ, რითაც დარჩა ჩვენში საიათნოვა".

ეს კი, ლექსებია, დაახლოებით 200 სიმღერა, რომლის ავტორობას საიათნოვას მიანერენ, თუმცა, სავარაუდოდ, მას ათასობით სიმღერა უნდა ჰქონოდა შექმნილი ორიგინალური სტილითა და რიტმით. მისმა სალექსო ფორმებმა და ლექსიკამ გარკვეული გავლენა მოახდინა თანადროულსა და მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაზე.

სწორედ ამ ლექსებმა შთააგონეს მოქანდაკე გია ჯაფარიძეს, რომ პროექტი აღმოსავლურ სტილში გადაიწყვიტა და ფიგურალური, პორტრეტული ნამუშევარი კი არა, სიმბოლური კომპოზიცია შექმნა: სკვერში, მწვანე მოლზე გადაფენილ ეტრატზე საიათნო-

ვას ლექსები წერია, იქვე ბრონზული დგას, აღმოსავლური სიმბოლიკით, მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების ხე, ხეზე ოქროს ბუღბუღი ზის - მეტრე და მეხოტბე, და იქვეა თარი, აშუღური საკრავი, რომლის ხმასაც პოეტი თავის ლექსებს აყოლებდა.

როგორც გია ჯაფარიძემ გვითხრა, მან და კახა ქორიძემ საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში პოეტის ხელნაწერები შეისწავლეს, სადაც ქართულ, სომხურ და თურქულ ენაზე ნაწერი ლექსებია.

**გია ჯაფარიძე:** "ვაპირებთ, საიათნოვას სტროფები შეულამაზებლად და ყოველგვარი შეცვლის გარეშე გადავიტანოთ ქვაზე. ხელნაწერებს თან ახლავს ავტორისავე ჩანახატები: ლომები, წყვილად და ცალ-ცალკე, მუსიკალური საკრავები და სხვა სიმბოლოები, რომლებიც ასევე გადავა ქვის ეტრატზე".

მოქანდაკეს ჯერ არ აქვს შერჩეული კონკრეტული სტროფები,

რომელიც ქვის ეტრატს ანბანით დაწერება, მაგრამ უკვე ჩაგვესმის საიათნოვას ხმა: "სიტყვას ვიტყვი, სამ ქუხილი დაიწყო!"


ცნობილია, რომ საიათნოვა 1712 წელს დაიბადა თბილისში და თავისი სიმღერითა და თარზე დაკვრით ერეკლე II-ის კარის მუსიკოსობა მოიპოვა. მას უამრავი ლექსი აქვს მეფე ერეკლეზე, სადაც მისი პირადი დამოკიდებულება იგრძნობა. ამბობენ, რომ დიპლომატის ფუნქციასაც ასრულებდა და რომ მისი შუამავლობით გახდა შესაძლებელი ალიანსი საქართველოს, სომხეთსა და შირვანს შორის სპარსეთის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, მას ერეკლეს ქალიშვილი შეუყვარდა, ამის გამო სასახლიდან გააძევეს და დარჩენილი ცხოვრება ხეტიალსა და სიმღერაში გალია. 1768 წელს ბერად შემდგარა ახპატი და 1795 წელს, თბილისში ალა-მამამად ხანის შემოსევის დროს დაიღუპა.

## დაკარგული ნამუშევრები იკოვნეს

ნიდერლანდების პოლიციამ სამი ადამიანი დააკავა, რომლებიც მოპარული სურათების გაყიდვის მცდელობაში არიან ეჭვმიტანილნი. დაკავებულების კოლექციაში აღმოჩენილი იქნა რვა დაკარგულად მიჩნეული 17-19 საუკუნეების ნამუშევარი, რომელთა შორისაც არის რენუარისა და ტენისის ნახატები. პოლიციელები პოლიციელების მიერ ნაპოვნი სურათები მასტრიხტის გალერეიდან 1987 წელს მოიპარეს. პოლიციელების თქმით, ნამუშევრები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. რამდენიმე ტილო დიდი ხნის განმავლობაში საშიხელ პირობებში ინახებოდა.

მოპარული სურათების გაყიდვის მცდელობის საქმეზე, დუბაიში მცხოვრები 45 წლის გერმანელი, მისი 62 წლის დედა და 66 წლის მამაკაცი დააკავეს. მათი ვინაობა არ სახელდება. დაზუსტებული არ არის, ასევე რა გზით ჩაუვარდათ მათ ხელში მოპარული ნამუშევრები. პოლიცია ნახატების გამყიდველები მაშინ დაინტერესდა, როცა ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიას დამნაშავეებმა ექვსი ნამუშევრის შექმნა შესთავაზეს.



როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული სურათები, სწორედ ამ კომპანიის მიერ იყო დაზღვეული და თავის დროზე დაკარგული ნამუშევრების დაზღვევის თანხა - 2,8 მილიონი დოლარი ანაზღაურა.

აღსანიშნავია, რომ პიერ ოგიუსტ რენუარის კიდევ ერთი დაკარგული ნამუშევარი, რომელიც კრძო კოლექციიდან 1975 წელს მოიპარეს, გასული წლის სექტემბერში, იტალიის პოლიციამ აღმოაჩინა. სურათი, რომლის ფასიც 735 ათას დოლარს შეადგენს, თავის კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდა. ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციელებმა სამი კონტრაბანდისტი დააკავეს, რომლებიც ხელოვნების ნიმუშების გადატანას ავსტრიის საზღვარზე აპირებდნენ. დამნაშავეებს შორის აღმოჩნდა სამხატვრო გალერეის პატრონი 68 წლის ქალი და ორი მამაკაცი, რომლებიც ადრე უკვე იყვნენ სხვადასხვა დანაშაულისთვის გასამართლებულები.

საერთაშორისო კომპანია The Art Loss Register-ის ინფორმაციით, რენუარის კიდევ ბევრი ნამუშევარი იძებნება.



## აფიშა

10 მარტი

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**  
ექსპერიმენტული სცენა  
"სტუმარი"  
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**  
პრემიერა  
"ფიგაროს ქორწინება"  
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**  
"თავი"  
რეჟისორი ლევან წულაძე  
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**  
თამარ ბართაია  
"კაბის დღიური"  
რეჟისორი შილარი ვუღი  
დასაწყისი: 19.00

### პანტომიმის თეატრი

"ტერენტი გრანელი - მთვარისკენ ნასროლი მიხაკი"  
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი  
დასაწყისი: 19.00

### სამეფო უბნის თეატრი

"ჩემი მეგობარი ჰიტლერი"  
რეჟისორი დიმიტრი ღვთისიაშვილი  
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"რუსთაველი"**  
"მადაგასკარი 2"  
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 20.00

"ცვლილება"  
დასაწყისი: 13.00; 16.00  
"ოპერაცია ვალკირია"  
დასაწყისი: 19.15; 21.15

"როკენროლა"  
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.00;  
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"  
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00

"ვარდისფერი პანტერა 2"  
დასაწყისი: 13.15; 15.00; 16.45; 18.30; 20.15; 22.15

### "ამირანი"

"მადაგასკარი 2"  
დასაწყისი : 13.00 ; 15.00 ; 17.00  
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"  
დასაწყისი : 19.00 ; 21.00

### გამოფენა

### "ქარვასლა"

XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა საფრანგეთში

### "შარდენი"

ტიხრული მინანქრის გამოფენა

### ამენხოტეპ მესამის ორი ახალი ქანდაკება

ეგვიპტელი და ევროპელი არქეოლოგების ჯგუფმა, რომლებიც ამენხოტეპ მესამის სამარხის რაიონში მუშაობდნენ, ამ ფარაონის გამოსახულების ორი ქანდაკება აღმოაჩინეს. პირველი არის მჯდომარე გამოსახულება შავი გრანიტისგან, ხოლო მეორე კვარციტისგან შესრულებული სფინქსი. ამის შესახებ სააგენტო DPA იტყობინება.

ამენხოტეპ მესამეს (XIV საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სამარხი ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე განთავსებული, თანამედროვე ლუქსორის მოპირდაპირე მხარეს. სამარხი, პრაქტიკულად, შემორჩენილი არ არის, მაგრამ გადარჩენილია "მემნონის კოლოსები" - ამენხოტეპ მესამის გიგანტური ქანდაკება.

ექსპედიციას, რომელიც ამ სამარხის ადგილსამყოფელზე მუშაობს, ჰურიგ სოუროზიანი (Hourig Sourouzian) ხელმძღვანელობს. მისი ჯგუფი ამ მონაკვეთის და გადარჩენილი ფრაგმენტების კონსერვაციას 1999 წლიდან ეწევა.



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი წესდების 47-ე მუხლის შესაბამისად აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიის წევრობის კანდიდატებად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შტოზე სამეცნიერო დაწესებულებებში, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებში, სამეცნიერო საზოგადოებებში:

კანდიდატის კვალი, სახელი	სპეციალობა	კატეგორია
<b>მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება</b>		
<b>მათემატიკა</b>		1
ახალიბრძოლი მისიელ ბაღდაძე უფროსი პროფესორი ნიკოლოზ გოგილაძე დოქტორი ვასილკო თამაზ თაყაიშვილი თამაზ კვარაცხელია ვახტანგ ტარიელაძე ვახტანგ ფარაშვილი თეიმურაზ ქაჯაიშვილი თორნიკე ხარაზიშვილი ალექსანდრე ხიმშიაშვილი გიორგი		
<b>ფიზიკა</b>		1
ბერეჟიანი ვეპა გარსევანიშვილი ვახტანგ ელიაშვილი მერაბ კიკელიძე ნიღარ კურეულიშვილი პაატა კურაძე ალექსანდრე კორცხელია ელიაშვილი ნორაძე მისიელ შენგელია ალექსანდრე ნქარეული ჯუანშერ კიდელი გურამ ხუბუა ჯუანშერ		
<b>დღეისათვის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება</b>		
<b>გეოლოგია</b>		2
ხუბუაძე უსა თვალტრედოვი ალექსანდრე თეიმურაზი ბუკაძე კატაიძე მისიელ დომინიკო თამაზ მისიელ უფროსი მადიაშვილი გიორგი თქარცხელია ავთანდილ ფოფოვაძე ნიღარ		
<b>გეოგრაფია</b>		1
ბეგლაროვი ნიღარ განხილავი რევაზ ელიზბარაშვილი ელიზბარ კურეული დავით ხანთაძე არსილ		
<b>გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება</b>		
<b>გამოყენებითი მექანიკა, მანქანათმშენებლობა, ტექნიკის ისტორია</b>		1
დავითაშვილი ნიღარ კვიციანიშვილი-ნიღარ ქიქოძე ხუბუაძე ვიქტორ თაყაიშვილი დავით მკალაბდიშვილი დევიდ მკალაბდიშვილი თამაზ რევეჯია პაატა ქაჯაიშვილი რევაზ ქიქოძე ვაჟა შვერდიაშვილი არაკლი ქუციანი გრიგოლ		
<b>სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ტექნოლოგია და ორგანიზაცია, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები, მართვის სისტემები</b>		1
გვარამია ვია გიორგიშვილი გიორგი ვარშალომიძე გურამ იოსებოვი ჯუანშერ დობაძე თორ კაკაბაძე რევაზ მახარაძე დიონ მახვილაძე დევიდ შანშიაშვილი ბესარიონ ხიმშიაშვილი ირინე აბდიაშვილი ნიღარ		
<b>ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება</b>		
<b>ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები</b>		2
აგლაძე გიორგი ალანა მერი ასელი ჯიშნერი ამირხანაშვილი კობა არქიმი გიორგი ვახიკო რამაზ დიდიძე ავთანდილ თაყაიშვილი გიორგი კვიციანიშვილი სვიად კობაიძეშვილი ვასილ დევიდ თამაზ მარხაიშვილი თამაზ ქაშკაშვილი გურამ ქაჯაიშვილი რამაზ ქორიანი ავთანდილ ქაჯაიშვილი ბუკაძე ხუბუა თეიმურაზ ხიმშიაშვილი თეიმურაზ		
<b>ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება</b>		
<b>მემბრანოლოგია, ენზიმოლოგია</b>		1
ქიმიკიანი ზურაბ		

	მეცნიერება ბიოლოგია (მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია)	1
დობაძე ასორ საღურაშვილი თინათინ შალაშვილი არსან		
<b>პალეონტოლოგია</b>		1
ფლორიაშვილი დავით		
<b>ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება</b>		
<b>ფიზიოლოგია</b>		2
ბუქია გურამ კალანდარიშვილი ვედიკი კოკია ზაად დობაძე თამაზ მადლიანური ვიქტორ მთავარია ნიღარ შინაძე ელენა მკალიშვილი გიორგი ნაინაშვილი ზაქარია ნაკვებია ნარეკი თორნიკე გიორგი ქეციაშვილი ზურაბ ჭიჭინაძე კონსტანტინე		
<b>კარდიოლოგია</b>		1
მეგრელიძე არაკლი ვიქტორ ნიკოლოზ		
<b>ნევროლოგია</b>		1
შაქარაშვილი რამაზ		
<b>პედიატრია</b>		1
ნუშიაძე ქვიციანი ვაჟაძე კარამან		
<b>სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება</b>		
<b>აგროტექნოლოგია</b>		1
ბაღდაშვილი ვიქტორ გუგავა ელდარ დევიდიაშვილი თეიმურაზ კორთაძე კურე კობახიშვილი ავთანდილ მელაძე გიორგი სამადაშვილი ცოტნე ქუციანი მურმან		
<b>საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება</b>		
<b>საქართველოს და აღმოსავლური ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია</b>		2
ამსაძე გიორგი არახია გიორგი ავაქიძე ვანი ვაგონიძე ივლინ გამრედიანი ვაჟა გუგავიშვილი ნანა გოთელია ვახტანგ თეიმურაზი რევაზი კახიძე ასირან დორთქიანიშვილი გურამ მამისთავაშვილი ელდარ მკალაძე ნუგზარ მელიქიშვილი დიანა ნაკვებია ირინე პასკიანი ზურაბ სანიკიე გიორგი სიდიკაძე ვაღერი სხორციანი ზაზა ურეშაძე დევიდ ქაჯაიშვილი გიორგი ყორახაშვილი გურამ ჯაფარიძე ვისა		
<b>ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები</b>		1
აბაშიძე ზურაბ გოგიანიშვილი იმარ დიდიძე მამუკა მამუკა ირაკლი ირემაძე თეიმურაზ მადრაძე გუგავი მახარაძე მისიელ		
<b>ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება</b>		
<b>ქართული ენა, ქართველური ენათმეცნიერება</b>		1
არაკლი ავთანდილ მელიქიშვილი დიანა სოსელია ვიქტორ		
<b>ქართული ლიტერატურისმცოდნეობა</b>		1
რატანი ირმა სირაძე რევაზ		
<b>კავკასიური ენები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება</b>		1
გვანცელაძე თეიმურაზ შერეულია ვეპა		
<b>აღმოსავლური ენები, აღმოსავლური ფილოლოგია</b>		1
სახელია მია სიდიკაძე აბდონ ნიქოლი გურამ ჯიქია მარინე		
<b>ზოგადი ენათმეცნიერება</b>		1
მელიქიშვილი ირინე ქუციანი მისიელ		



# სპორტი

## ურჯუკაშვილი ნაკრებში დააბრუნეს

შაბათს, 14 მარტს, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები თბილისში რუმინელებს უმასპინძლებს. ჩვენმა მეტოქემ უკვე შეკრიბა რაზმი, გუშინ კი ტიმ ლინის რჩეულთა სიის ნაწილიც გაცხადდა.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ავსტრალიელმა მწვრთნელმა "ბორჯალოსნები" ორთაჭალაში მდებარე სასტუმრო "ზაზალეთში" შეიკრიბა. ტიმ ლინის რჩეულებმა გუშინ დაიწყეს მზადება ევროპის "ერთა თასის" გათამაშების უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის, რომელიც 14 მარტს თბილისში, "ბორის პაიჭაძეზე" გაიმართება რუმინეთის ნაკრებთან. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ორი ცვლილებაა - ეროვნულ გუნდში წელს პირველად იასპარეზებს მალხაზ ურჯუკაშვილი, რომელიც, სამწვრთნელო შტაბის გადანაცვლებით, ირაკლი ჩხიკვაძის მაგივრად იქნა გამოძახებული. გარდა ამისა, შაბათს ვერ ითამაშებს "კასტრის" ჰუკერი აქვსენტი გორგაძე. ნაკრები უკვე ორჯერად წვრთნებზე გადავა. ვარჯიშები 9:30 და 15:30 საათზე "შევარდენის" სტადიონზე იმართება. ტიმ ლინის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებში რუმინეთის მატჩისთვის შემდეგი მორაგბეები ემზადებიან - შერკინება: გოდერძი შველიძე ("მონტობანი" საფრანგეთი), დავით ხინჩაგაშვილი ("ბრივი" საფრანგეთი), დავით ქუბრაიშვილი ("ტულონი" საფრანგეთი), ირაკლი ნატრიაშვილი ("ფარული" რუმინეთი), ილია ზედგი-



მალხაზ ურჯუკაშვილი ნაკრებს შეუერთდება

ნიძე ("ექს-ან-პროვანსი" საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი ("ორიაკი" საფრანგეთი), კახა უჩაძე ("ფარული" რუმინეთი), მამუკა გორგოძე ("მონ-პელიე" საფრანგეთი), რატი ურუშაძე ("ენისეი-სტმ" რუსეთი), გიორგი ჩხაიძე ("რასინგ მენტრო" საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია ("მორლე-

ლო"), თედო ზიზიბაძე ("პერიგო" საფრანგეთი), მალხაზ ურჯუკაშვილი ("ორიაკი" საფრანგეთი), დავით კაჭარავა ("ენისეი-სტმ" რუსეთი), ოთარ ბარკალაია ("ანდორა" საფრანგეთი), გიორგი შკინინი ("ხული-განა" საქართველო), ირაკლი მაჩხა-

ნელი ("აუენი" საფრანგეთი).  
შესამე ადგილი დაიკავა რუსეთმა, რომელიც, თავის მხრივ, ყაზახეთს იოლად გაუსწორდა - 7:0, მეშვიდეზე კი უზბეკეთის მძლეველი (6:1) კუბა გავიდა.

## "თავისუფლები" მსოფლიო თასს მიღმა გადახალისდნენ

თერანში დასრულებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდურ მსოფლიო თასზე შემადგენლობით გადახალისებული საქართველოს ნაკრებისთვის შედეგიც შესაბამისი აღმოჩნდა - რვა გუნდს შორის მეექვსე ადგილი. ჯგუფურ ეტაპზე საქართველომ კუბას 5:2 სძლია, ირანთან და რუსეთთან კი 0:7 და 3:4 დამარცხდა და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. მოგვიანებით ქართველი "თავისუფლები" B ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ უკრაინელებს მეხუთე ადგილისთვის დაუპირისპირდნენ და პირველი ოთხი წონითი კატეგორიის შეხვედრების დასრულებისთანავე აშკარა იყო, რომ მეხუთე ადგი-

ლი უკრაინელებს დარჩებოდათ. გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ.) იური ლედენევიტან დამარცხდა, მალხაზ ზარქუა (60 კგ.) - ევეგენი ხავილოვთან, კობა კაკალაძე (66 კგ.) - იური სიმაკინთან, ხოლო გოჩა ლომთათიძე (74 კგ.) - დიმიტრი კომისაროვთან. ნიკოლოზ გაგნიძემ (84 კგ.) და ბელდუხ გაგაშვილიძემ (96 კგ.) ელდარ მანსუროვისა და ილიმდარ საიდოვის ძლივით ანგარიში მიწის ორ ქულამდე შეამცირეს, წერტილი კი ისევ უკრაინელმა დასვა - 120 კილოგრამში ალექსი მოდებაძეს ვასილ ტესმინეცკიმ აჯობა და საქართველო 2:5 დამარცხდა. ამასობაში მსოფლიო თასისთვის ერთმანეთს დაექიდნენ A და B

ჯგუფის პირველ ადგილზე გასულელები - აზერბაიჯანელები და ირანელები. თასის მფლობელის ბედი მეშვიდე შეხვედრაში გადაწყდა. შედეგი ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს - აზერბაიჯანმა 4:3 იმარჯვა.

**მსოფლიო თასი. თირანის A ჯგუფი**  
საქართველო 3:4 რუსეთი  
ირანი 7:0 კუბა  
რუსეთი 3:4 ირანი  
საქართველო 5:2 კუბა

რუსეთი 6:1 კუბა  
საქართველო 0:7 ირანი

**B ჯგუფი**  
უკრაინა 3:4 ყაზახეთი  
აზერბაიჯანი 6:1 უზბეკეთი  
უკრაინა 2:5 აზერბაიჯანი  
ყაზახეთი 4:3 უზბეკეთი  
უკრაინა 3:4 უზბეკეთი  
ყაზახეთი 1:6 აზერბაიჯანი  
**მე-7 ადგილისთვის**  
კუბა 6:1 უზბეკეთი  
**მე-5 ადგილისთვის**  
უკრაინა 5:2 საქართველო  
**მე-3 ადგილისთვის**  
რუსეთი 7:0 ყაზახეთი  
**ფინალი**  
აზერბაიჯანი 4:3 ირანი

## ზოისამ თავის ახალ გუნდს მოაბეზინა

ესპანურ "ვივემენორკაში" ხელმოცარული ვლადიმერ ზოისა ხორვატიულ "ზადარში" გადავიდა და თავის ახალ გუნდს ადრიატიკის ლიგის გათამაშების მორიგ ტურში გამარჯვებაც მოაპოვებინა. "ზადარმა" სახელოვანი "ცრვენა ზეზუდა" 8000 ქომბაის თვალწინ 71:61 დაამარცხა.  
ხორვატიულ-სერბიული მატჩის პირველი მეოთხედი ფრედ დასრულდა, დანარჩენ პერიოდებში კი მასპინძლები უკეთ თამაშობდნენ, რაც ათქულიან უპირატესობაში გამოიხატა.  
ზოისამ მოედანზე 24 წუთი დაპყრო და "ზადარს" 6 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი შესძინა.  
ვივამ 4-ვე საჯარიმო და 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 2 სამქულიანი კი ააცილა.

მასპინძელთა რიგებში პერიომა 18 ქულა მიითვალა, სტიპჩევიჩი კი 16 ქულას დასჯერდა.  
"ზადარს" 16 მოგება და 8 მარცხი აქვს და 40 ქულით მე-4 ადგილზეა.  
თუ ზოისას გუნდმა ოთხეულში ადგილი შეინარჩუნა, პლეი-ოფში ბრძოლას გააგრძელებს.  
წარმატებული გამოდგა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ნიკოლოზ ცვიტიშვილისთვისაც. "სკიტას" ფუნელაბრადამ ვლადიმერ ზოისას ყოფილ კლუბ "ვივემენორკასთან" გასვლითი მატჩი 75:78 დათმო, თუმცა თავად ქართველი კალათბურთელისთვის თამაში ურიგო არ ყოფილა. ნიკას ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა.  
ცვიტიშვილმა მადრიდელთა სასტარტო ხუთეულში იასპარეზა

და 22 წუთში 10 ქულა, 9 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა.  
"სკიტამ" 4-დან 2 ორქულიანი და 5-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო "ფუნელაბრადას" ლატვიელმა წევრმა კრისტაპს ვალტერსმა 17 ქულა მიითვალა.  
ცვიტიშვილის გუნდი 11 გამარჯვებითა და 11 ნაკლებით მე-8 პოზიციაზეა.  
ვალენსიის "პამესა" "გრანადას" ესტუმრა და 71:69 გაიმარჯვა. ვალენსიელთა ქართველმა კალათბურთელმა თორნიკე შენგელიამ კი მხოლოდ 18 წამს ითამაშა. ცხადია, ამ დროში შენგელიამ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, მისი კლუბი კი 13 მოგებითა და 11 მარცხით მე-7 ადგილზეა.  
საქართველოს ეროვნული გუნდის ახლანდელი წევრის ტაირონ

ელისის "კახასოლმა" ბილბაოს "იურბენტიას" 80:66 სძლია, თუმცა 5 მოგებითა და 18 მარცხით მაინც ბოლო ადგილზეა.  
ელისმა 31 წუთს ითამაშა და მასპინძლებს 10 ქულა, 2 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა შეანია.  
იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა სიენას "მონტეპასკიმ" უახლოეს მდევარს რომის "ლოტომატკას" 93:88 სძლია. ქართველი ნიკა მეტრეველი სიენელთა განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა.  
მოედანზე ვერც გიორგი შერმადინი გამოვიდა, რომლის "პანათინაიკოსმა" საბერძნეთის ჩემპიონატში "ეგალოს" 103:77 მოუგო. ათენელებს 18 მოგება და 3 მარცხი აქვთ და მხოლოდ ლიდერ "ოლიმპიკოსს" ჩამორჩებიან.

### საქართველო დევისის თასზე ლიგვასთან დამარცხდა

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასზე ევროაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფში ლიგვასთან დამარცხდა 2:3 და შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა. არადა, პირველი ორი დღის შემდეგ ჩვენები 2:1 ლიდერობდნენ და ბოლო ორი შეხვედრიდან ერთის მოგებაც ყოფნიდათ საბოლოო გამარჯვებისთვის. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ქართული გუნდის ორივე ლიდერი დამარცხდა - ლადო ჩიხლაძე რიჩარდას ბერანკისთან (3:6), (4:6), (1:6), ხოლო ირაკლი ლაბაძე - დოვიდას საკინისთან (1:6), (2:6), (4:6).

### მალდინის გაშვებაზე ლიპი იზრუნებს

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი, უმთავრეს გუნდში მიღწეულ ვეტერანის პაოლო მალდინის მიწვევას არ გამოირიცხებს.

საგულისხმოა ისიც, რომ ინტერნეტ-გამოცემა Goal-მა მალდინის გამოსათხოვარი მატჩის ჩატარების იდეის მხარდასაჭერად აქცია ჩაატარა, ხოლო თავად 40 წლის ფეხბურთელი, რომელსაც სეზონის დასრულების შემდეგ, კარიერის დასრულება განუზრახავს, ეროვნული გუნდის მისთვის ბოლოჯერ მორაგბეაზე თანახმაა.

"ამ თემაზე პაოლოს უკვე ვესაუბრე. ფიქრობ, ასეთი მატჩის ორგანიზება შეეძლება" - განაცხადა ლიპიმ.  
1988-2002 წლებში მალდინიმ იტალიის ეროვნულ გუნდში 126 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.  
მას "სკუადრა აძურამი" დებიუტი 1988 წლის 31 მარტს იუგოსლავიასთან 1:1 დასრულებულ ამხანაგურ მატჩში ჰქონდა, ხოლო ბოლოს იტალიელთა რიგებში 2002 წელს სამხრეთ კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა.

### ბექშემი საკუთარ თავს მსოფლიო ჩემპიონატზე ხედავს

ინგლისელ დევიდ ბექშემს, რომელმაც "ლოს ანჯელეს გელექსიდან" "მილანს" მიაშურა და იტალიურ სერია A-ში თამაშს სეზონის ბოლომდე აპირებს, სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი გაუჩნდა.  
შეთანხმების თანახმად, ბექშემი კალიფორნიას ევროპული სეზონის დასრულების შემდეგ მიაშურებს, დეკემბერში კი MLS-ის სეზონს დაასრულებს და "მილანში" საბოლოოდ დაბრუნდება.

"ასეთ გადაწყვეტილებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, - Sky Sports-თან ინტერვიუში აცხადებს დევიდი. - ჯერ ის, რომ ჰლანტის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში სახელოვან ფეხბურთელთა გვერდით ასპარეზობა მსურდა. მეორე ის, რომ "მილანში" ჩარიცხვით ინგლისის ნაკრებში დაბრუნებისა და შესაბამისად, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე თამაშის შანსი მომეცა. ამის შესახებ პრესაში აქტიურად საუბრობენ და მეც ყველაფერს გააკეთებ, რათა სამხრეთ აფრიკაში ვავემგზავრო".

ბექშემის განცხადებით, იგი ამერიკაში ფეხბურთის განვითარებაზე იტალიიდანაც იზრუნებს და სამომავლოდ MLS-ის ერთ-ერთი კლუბის შექმნას გეგმავს.  
"ჩემი დიდი სურვილია, მატაგემში ფეხბურთმა პოპულარობა მოიპოვოს, თუმცა, ეს ერთ-ორ წელიწადში არ მოხდება. შესაძლოა, 10-15 წელიწადში სასურველი შედეგი მივიღოთ, ამისთვის კი ბევრი შრომაა საჭირო. თუკი განვითარება ისეთივე ტემპით გაგრძელდა, როგორც - დღეს, ყველაფერი კარგად იქნება".

### შუშაკის "მიკა" "ლუნგიუს" დაუზავდა

თბილისის "დინამოს" ექს-მწვრთნელ ივო შუშაკის მიერ დარიგებულმა სომხეთის "მიკამ" ესპანეთის ქალაქ მალაგაში მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და დანიურ "ლუნგიუსთან" 1:1 ითამაშა. ამასთან დანიელებთან სრულიად ითამაშა "მიკას" ქართველმა ლეგიონერმა ირაკლი ცანავამ.  
"მიკა" ესპანური შეკრების ბოლო მატჩს ნორვეგიულ "ბრანთან" გამართავს.  
კიდევ ერთმა სომხურმა კლუბმა "ულისმა", რომელიც წვრთნას საქართველოს ზღვისპირა კურორტ ურეკში გადადის, ძალები ფოთის "კოლხეთთან" მოსინჯა და 4:0 იმარჯვა.

### უეფამ ლიგის ახალგაზრდა ათეული გამოავლინა

უეფა-ს ოფიციალურმა ვებ-გვერდმა საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასული გუნდებიდან 10 საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი დაასახელა.  
უეფა-ს რჩეულთა შორის შემდეგი მოთამაშეები მოხვდნენ: სერხიო აგუერო ("ატლეტიკო"), სერხიო ბუსკეტსი ("ბარსელონა"), ჯონი ევანსი ("მანჩესტერი"), ჰალკი ("პორტუ"), უგო ლორისი ("ლიონი"), კლაუდიო მარკიზო ("იუვენტუსი"), აარონ რემსი ("არსენალი"), ჯუზეპე როსი ("ვილიარეალი"), დევიდ სანტონი ("ინტერი"), სიმპუ ("პანათინაიკოსი").



### ბათუმში საფეხბურთო სტადიონი აშენდება

"არველაძეების ფონდი" ბათუმში საფეხბურთო სტადიონს ააშენებს. ამის შესახებ ბათუმის მერმა რობერტ ჩხაიძემ განაცხადა. მისი თქმით, გვარდება საორგანიზაციო საკითხები, რომლის შემდეგ ახალი სტადიონის მშენებლობა დაიწყება. პროექტი 7-დან 10 მილიონ დოლარამდე დაჯდება.

### აზრამიძე "ამკარში" გადავიდა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის ყოფილი მცველი ვალერი აბრამიძე, რომელიც გასულ სეზონში მახაჩკალის "ანჟის" ლირსებას იცავდა, ახლა რუსეთის პრემიერლიგის კლუბ პერმის "ამკარში" ისინჯება. 28 წლის ქართველი ფეხბურთელის გუნდში დარჩენის თაობაზე პერმელები გადაწყვეტილებას 13 მარტამდე, ანუ განაცხადში ფეხბურთელის შეყვანის ვადის დასრულებამდე მიიღებენ. "ანჟიდან" ნამოსვლის შემდეგ აბრამიძე, რომელსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვს, "ხიმკიში" ისინჯებოდა, მაგრამ საბოლოოდ გუნდში არ დატოვეს. კარიერის განმავლობაში საქართველოს ნაკრებში მან 6 მატრი ჩაატარა, მაგრამ გოლი არ გაუტანია.

### ფერდინანდი "ინტერთან" ვერ ითამაშებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რიო ფერდინანდმა შესაძლოა გამოტოვოს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებითი მატჩი, რომელსაც მისი გუნდი "ინტერთან" ჩაატარებს. ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო ინგლისის თასის მეოთხედფინალში, სადაც "მანჩესტერმა" "ფულემს" სძლია დიდი ანგარიშით - 4:0. შესვენებაზე ფერდინანდი იძულებული გახდა მწვრთნელისთვის შეეცვლა ეთხოვა, რადგან პირველ ტაიმში ტერფის არეში ტკივილი იგრძნო. "გარკვეული ეჭვი გამიჩნდა, ითამაშებს თუ არა ფერდინანდი "ინტერთან". იმედი მაქვს, რომ ის ოთხშაბათისთვის მზად იქნება. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთ გადაწყვეტელ როლს თამაშობს," - ამბობს ალექს ფერგუსონი.

### რონალდომ გოლების გატანა დაიწყო

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებში ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა რონალდომ მუხლის ძიძგი ტრავმით გამოწვეული 13-თვიანი შესვენების შემდეგ "კორინთიანსის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. 32 წლის რონალდომ სან პაულუს შტატის ჩემპიონატზე "კორინთიანსის" რიგებში მეორე მატჩი გამართა და "პალმეირასთან" დერბიში საკუთარი გუნდი მარცხისგან იხსნა. განვლილ შეხვედრაში "ფენომენი" მოედანზე შევიდა 63-ე წუთზე, როდესაც "კორინთიანსი" 0:1 აგებდა და ძირითადი დროისთვის დამატებულ მე-3 წუთზე თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. რონალდოს მანამდეც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან მის მიერ "პალმეირასის" კარისკენ დარტყმული ბურთი ზედა ძელს მოხვდა. მსოფლიოს სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა გატანილი გოლი ტრიბუნებისგან მოედნის გამყოფ ბადეზე ასეულით აღნიშნა.

"საოცარი რამ მოხდა და ემოციებისგან თავი ვერ შევიკავე. მით უმეტეს, რომ მატჩის მსვლელობისას ვაგებდით. გატანილი გოლით გამოწვეული საუცხოო შეგრძნება დამიბრუნდა. როცა მეტოქის კარის წინ მოვხვდები, კარგად ვიცი, რა უნდა გავაკეთო. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია. ვიცი, რომ საკუთარი შესაძლებლობების 100 პროცენტს ვერ ვაჩვენებ. ცხადია, თამაშის გაუმჯობესება მჭირდება. ზედმეტი ნონა აუცილებლად უნდა დავიკლო, რათა უფრო მოძრავი გავხდე", - განაცხადა რონალდომ.

### კავენაგის ფოფანასთან შეტახება ძვირად დაუჯდა

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურში, "ტოლუზასთან" 0:3 ნაგებულ მატჩში, მეტოქის მცველ მოპამედ ფოფანასთან შეჯახების შემდეგ, მუხლი დაიზიანა და შესაძლოა, გუნდს თვესახვარი ვერ დაუხმაროს "ბორდოს" არგენტინელი ფორვარდი ფერნანდო კავენაგი. "მომხერხება, რომ მუხლში რაღაც მომტყდა. ვფიქრობ, მოედანზე თვესახვარი ვერ გავალ", - ვიტყობთ არგენტინელი ფორვარდისგან. გარდა ამისა, კავენაგიმ უარყო წინასწარ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ჯვარედინი მყესები ჰქონდა განწყვეტილი, რის გამო, შესაძლოა, 6 თვე დაესვენა. საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში არგენტინელის ანგარიშზე 13 გატანილი გოლია.

### ალტინტეოი ისვენებს

მიუნხენის "ბაიერის" თურქ ნახევარმცველს ჰამით ალტინტეოს შაბათს, შინ, "ჰანოვერთან" მოგებულ მატჩში, მარჯვენა წვივის კუნთი დაუზიანდა და გუნდს ორი-სამი კვირით გამოაკლდა. ის დღეს ლისაბონის "სპორტინგთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით საშინაო მატჩში ვერ ითამაშებს. კოჭი იტიკინა ბელგიელმა მცველმა დანიელ ვან ბუიტენმა და პორტუგალიელმა მისი თამაშიც საეჭვოა. უეჭველია, რომ ამ მატჩს იტალიელი მეგობრე ლუკა ტონი და ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გამოტოვებენ - პირველს აქილეუსის მყესი აწუხებს, მეორეს კი - წვივის ძვალი. პირველ შეხვედრაში "ბაიერმა" "სპორტინგს" სტუმრად 5:0 მოუგო.

# ოპერაციის შედეგად



კალადის ოპერაციამ კარგად ჩაიარა

როგორც იცით, საქართველოს ნაკრების კაპიტნისა და იტალიური "მილანის" მცველ კახა კალადისთვის ნლევანდელი სეზონი დასრულებულია. კახა იტალიურ გრანდს სერია ა-ს გათამაშების დარჩენილ ტურებში ვერ დაეხმარება, "ხუთჯვაროსნებს" კი - მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებში. ცნობილია, რომ ანვერსაში ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ახლა დაიწყება რეაბილიტაციის ყველაზე რთული და ხანგრძლივი პერიოდი. კალადის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ქართველი ფეხბურთელის პატარა ინტერვიუ. - როგორ გრძნობ თავს და რას ფიქრობ ოპერაციის შემდეგ? - კარგად ვარ. უფრო სწორად, მშვიდად ვარ. ოპერაცია

# ქართველთა მოკრძალებული წვლილი



კობიაშვილი უეფას ზონას მიუახლოვდა

განვლილ უქმეებზე ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებში გამართულ ტურნებში ქართული ლეგიონის მიღწევები მოკრძალებული იყო. დიდად არავის გამოუჩენია თავი. დიდი ხუთეულიდან მხოლოდ გერმანიაზე ლის ყურადღების შეჩერება, რადგან იტალიაში ქართველები ტრავმების გამო უქმობენ, ინგლისში კი ტური საერთოდ არ გამართულა. აღსანიშნავია რუსეთის საფეხბურთო სეზონის განახლებაც. ისევე როგორც თითქმის ყველგან, ჩემპიონატის დაწყებამდე რუსეთშიც სუპერთასის მატჩი იმართება. ამ თასისთვის კი "რუბინი" და ცსკა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ყაზანის "რუბინმა" "ლუჟინკებში" "ცსკა"-სთან დამატებით დროში 1:2 ნააგო. 62-ე წუთზე "რუბინმა" დათო კვირკველიას ჩანსოლების შემდეგ გაათანაბრა ანგარიში. კვირკველიამ და სალუქვაძემ მატჩი სრულად ითამაშეს. ბუნდესლიგის 23-ე ტურის მატჩში გელზენკირხენის "შალკემ" საკუთარ მოედანზე "კიოლნს" სძლია - 1:0. მატჩი სრულად ითამაშა საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანმა ლევან კობიაშვილმა, ლევან ყენია კი ტრავმირებულია. ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე" სტუმრად "ვოლფსბურგთან" დამარცხდა - 0:1. იაშვილი განაცხადა ვერ მოხვდა. ამ ნაგების შემდეგ "კარლსრუემ" სატურნო ცხრილის ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. ნაოპერაციო ვიკა კალადის გარეშე "მილანმა" "ატლანტას" მოუგო - 3:0. იმარჯვა ლევან მჭედლიძის "პალერმომ" ტომელმაც "ფიორენტინასთან" სტუმრად შეძლო სტუმართათვის მტკად საჭირო სამი ქულის ართმევა - 2:0. ლევან მჭედლიძეს ტრავმის გამო არ უთამაშია. მეორე ბუნდესლიგას ლიდერობს "ფრაიბურგი", რომელმაც აახენის "ალემანიას" სძლია - 2:1. დავით თარგამაძე 86-ე წუთზე გავიდა მოედანზე, როცა ანგარიში თანაბარი იყო. ამ შეცვლამ

გამართლა. მასპინძლებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს და მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვეს. ლევან ციტიტიშვილის "ვეენმა" ალენის "როტ ვაისთან" დათმო შეხვედრა - 0:1. ქართველი ფეხბურთელი მთელი მატჩის განმავლობაში იყო მოედანზე. ოთარ ხიზანეიშვილის "აუს-ბურგი" ჩვენებურის გარეშე სტუმრად "მაინცს" ეთამაშა ფრედ - 1:1. მოიგო მათე ლენინაშვილი "მუნხენ 1860"-მა, რომელმაც "ინგოლშტადთან" სტუმრად ითამაშა - 3:2. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს ტრავმის გამო არ უთამაშია. უკრაინის ჩემპიონატში დნეპროპეტროვს-

კის "დნიპრო" სტუმრად "შახტარს" დაუპირისპირდა და დათმო შეხვედრა - 0:1. მატჩი სასტარტო შემაღვენლობაში დაიწყო ჯაბა კანკავამ, რომელმაც მოედანზე 81 წუთი დაჰყო. თამაშის 53-ე წუთზე შევიდა მოედანზე ბექა გოციროძე. რაც შეეხება სანდრო კობახიძეს, ის შემადგენლობაში ვერ მოხვდა. "შტურმი" ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერ "ზალცბურგს" დაუპირისპირდა და თამაში 1:2 დათმო. ერთადერთი ბურთი სტუმართა რიგებიდან ილია კანდელაკმა გაიტანა. მან მატჩი სრულად ითამაშა. თამაშის ბოლო წუთზე შეცვალეს საქართველოს ნაკრების

მჭირდებოდა, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიტანჯებოდი. ახლა საჭირო იქნება გარკვეული დრო აღსადგენად და მოედანზე დასაბრუნებლად. ტკივილი თან მსდევდა რამდენიმე მატჩში. ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის 100 პროცენტით მზადყოფნა უმნიშვნელოვანესია. განსაკუთრებით კი ჩემი მახასიათებლების მქონე ფეხბურთელისთვის. - ოპერაციის გეგმილია? - არა, თუმცა შეიძლება რაიმე უფრო სერიოზული აღმოჩენილიყო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ვიცი, რომ შევძლებ თამაშის გაგრძელებას. ყველაფერს გავაკეთებ, რაც საჭირო იქნება რეაბილიტაციისთვის, მწყობრში ჩასადგომად, თუმცა არ ავჩქარებ. სეზონი თითქმის დასრულდა და ახლა უკვე შემდეგ სეზონზე უნდა ვიფიქრო.

ფეხბურთელი გიორგი შაშიაშვილი. ამ შედეგის შემდეგ "შტურმი" სატურნო ცხრილის მეოთხე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. "ვლზენმა" ჩეხეთის ჩემპიონატის მე-19 ტურში დიმიტრი ტატანაშვილის გარეშე დათმო მატჩი "ტეპლიცესთან" - 0:3. საფეხბურთო კლუბმა "ბაიკი", რომლის ლირსებას ამირან მუჯირი, გიორგი ადამია და გიორგი დემეტრაძე იცავენ, "ყარაბაღს" 2:0 მოუგო და აზერბაიჯანის ჩემპიონატის 17 ტურის თავზე, 41 ქულით, ლიდერობა შეინარჩუნა. 66-ე წუთზე ანგარიში გახსნა მუჯირმა. ამირანმა სტუმართა კარში 30 მეტრიდან დაარტყა და პატარა რიკოშტით მიზანს მიაღწია. მუჯირმა შეუცვლელად ითამაშა და ერთ ეპიზოდში "ყარაბაღის" ხუთი ფეხბურთელი მოატყუა, თუმცა, პერესმა მისი შეტევის გაგრძელება ვერ შეძლო. პირველ ტაიმში ამირანმა ყვითელი ბარათიც მიიღო. მუჯირს 11 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა რეიტინგში "ხაზარის" ნევერ ივან ცვეტკოვთან ერთად ლიდერობს. ადამიამ მინდორზე 76-ე წუთი გაატარა და ჯერ კიდევ 0:0-ზე ბურთი სტუმართა კარის ძელს გაარტყა, დემეტრაძე კი სათადარიგოთა სკაშიდან არ წამოშვებულა. თორნიკე აფციალისა და გოგა ბერაიას "გაბალა" შინაურ კედლებში ბაქოს "ინტერთან" 0:1 დამარცხდა და 19 ქულით მე-9 ადგილზე დარჩა. აფციაურმა 70-ე წუთზე დატოვა მინდორი, ბერაიამ კი შეუცვლელად ითამაშა. 31 ქულით მე-5 პოზიციაზე გადაინაცვლა "ოლიმპიკმა", რომელმაც დედაქალაქურ დერბიში "ბაიკოს" 4:0 სძლია. "ოლიმპიკის" შემადგენლობაში ალექსანდრე გოგობერიშვილმა 86-ე წუთამდე იასპარეზა, რომან ახალკაცი 54-ე წუთზე ჩაება თამაშში, ხოლო რევაზ გენაძე 78-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე.

# "კამპ ნოუზე" ბენჯამას ბარეში

ტებლობაზე ისიც ახდენს გავლენას, რომ ტრავმირებულია "ლიონის" ლიდერი კარიმ ბენჯემა, რომელმაც შესაძლოა "ბარსელონასთან" დაპირისპირება გამოტოვოს კიდევ. ფრანგი ვარსკვლავი საავტორო goal.com-ის ყურნალისტთან საუბარში გუნდში შექმნილ ვითარებას და "კამპ ნოუზე" გასამართ მატჩს შეეხო. "ბარსელონასთან" მატჩი? ძალიან მინდა ვითამაშო, მაგრამ თუ ტკივილი ვიგრძენი, მინდორზე ჩემს

გასვლას აზრი არ ექნება, - აცხადებს ბენჯემა, - ძალიან ვნერვოვლობ. არ მინდა თანაგუნდელები კიდევ ერთხელ დავაღალატო. წარმოიდგინეთ, გავრისკე და მტკივანი ფეხით გავვიდ მოედანზე. რამდენიმე წუთში შესაძლოა ტკივილი იმდენად აუტანელი გახდეს, რომ მწვრთნელს შეეცვლა ვიზოვო". ზუსტად ასე მოხდა საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩში "ლილის" წინააღმდეგ. "მატჩის დაწყებიდან ოხუთმეტი

წუთიც არ იყო გასული, როდესაც ნატკენი ფეხი ისევ ვიტკინე და იძულებული გავხდი მწვრთნელისთვის შეეცვლა მეთხოვა. რაც შეეხება თავად იმ შეხვედრას, "ლილი" ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. უკვე აშკარაა, რომ ჩემპიონატის მოგება გაჭირდება. ცხადია, ეს ჩვენთვის ცუდია, მაგრამ მთლიანობაში ფრანგულ ფეხბურთს წაადგება, რადგან ჩემპიონატის ფინიში დამატებული და საინტერესო იქნება", - აცხადებს ბენჯემა.



### საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს კოლიბრაფიული საბეჭდი მასალების შესყიდვას და ივრებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - პოლიგრაფიული საბეჭდი მასალები დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საბეჭდის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდვების მიერ წინასწარ განსაზღვრული საბეჭდის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

საბეჭდო დოკუმენტაციის განაცხადი შეხადებული იქნება სატენდერო მისაგრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 10 მარტიდან 31 მარტის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მისაგრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მისაგრებელი გადახდელ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზისა ანგ. № 200122900

ბანკის კოდი: 220101222  
სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მისაგრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ პოლიგრაფიული საბეჭდი მასალების სახელმწიფო შესყიდვას გამოცხადებული ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დღეუქველ კონკურტში 2009 წლის 31 მარტის 12 საათიდან 2 აპრილის 12:30 სა-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, სემოთინიშნულ მისამართზე, 2009 წლის 2 აპრილის 12:30 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

#### იურიდიულ პირთათვის:

- ამინაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ სორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან დიკლიაცია;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწესების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ გეონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

#### ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწესების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ გეონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკორტების საქმის წარმოება;

#### როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გაანია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დამადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დღეუქველ კონკურტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები მონაცემები შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დახვსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ეძლევი ადმინისტრაცია, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, არარესტრირება ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონ-ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 15 დღით უნდა აღარბეჭდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

სატენდერო მისაგრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მოთითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიონ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322.

#### საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი №	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების ვალები	მიწოდების ადგილი
ლოტი №1					
1	ქაღალდი ოფსეტური 80 გრ/მ2.	კგ	4 000	ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შესყიდვების მოთხოვნებიდან 10 დღის განმავლობაში	ქ. ბათუმი
2	ქაღალდი ოფსეტური 60 გრ/მ2.	კგ	10 000		
3	საფიფე ქაღალდი 70 გრ/მ2.	კგ	10 000		
4	ქაღალდი ცარცის 250გრ/მ2 დაჭრილი 70X100	კგ	6 510		
5	ქაღალდი ცარცის 115 გრ/მ2 76-86 სმ	კგ	5 000		
6	ოფსეტური ქაღალდი 120 გრ/მ2. 76-86 სმ	კგ	1 000		
7	ქაღალდი ცარცის 90 გრ.	კგ	9 500		
8	ქაღალდი ცარცის 200 გრ.	კგ	5 050		
9	დაწნული ქაღალდი 300 გრ.	კგ	500		
10	ქაღალდი ცარცის 130 გრ/მ2	კგ	4 000		
11	კალკა 4-4 (90 გრ/მ2)	ფურც.	14 410		
12	მუყაო 2 მმ.	კალი	1 500		
13	მუყაო 3 მმ.	კალი	1 500		
14	ცალმზრავი მუყაო 230 გრ. (სრომერზე)	კგ.	7 000		
15	ცალმზრავი მუყაო 230 გრ. (ბრისტოლი)	კგ.	5 000		
16	წებო ემულსია პოლიგრაფიული	კგ.	415		
17	ქაღალდის შესატრავი ლენტი	მ.	10 050		
18	მათიული 0.08 მმ	კოჭი	20		
19	საბეჭდი ფორმა „პლანეტის“ 1000/1200	ც.	1 200		
20	კაპრონის ძაფი	კოჭი	59		
21	კაპრონის თოკი	კგ.	157		
22	საბეჭდი ფორმა „დომინანტის“	კალი	2 200		
23	„პლანეტის რუზინი“	კალი	4		
24	„დომინანტის რუზინი“	კალი	4		
25	„პლანეტის“ ვალიკების გადასატრავი ქსოვილი	მეტრი	20		
26	„დომინანტის“ ვალიკების გადასატრავი ქსოვილი	მეტრი	45		
27	ფუნჯი სხვადასხვა ზომის	კალი	100		
28	ბუქვინილი რულინგება, თითო 100 მ.	კოჭა	4		
29	ხელთათმანი (შვი რუზინის)	კალი	55		
30	ფორმების საწმენდი ხსნარი	ლიტ	310		
31	ფორმების დასახური ხსნარი	ლიტ	240		
32	ფორმების გასამკლავებელი ხსნარი	ლიტ	560		
33	სპირტი	ლიტ	40		
34	საღებავი (ტრადა) 4 ფერი "C"	კგ.	170		
35	საღებავი (მათორბელი)	კგ.	20		
36	საღებავი (ფელე)	კგ.	11		
37	საღებავი (პანტონის სხვადასხვა ფერის)	კგ.	10		
38	დუკლის რუზინის დასაღები ქაღალდი	კალი	20		
39	კორექტორი (-)(-)	ც	7		
40	საითური (რუზინის ნააღმჩივი)	კალი	100		
41	ნათურები (დღის განათების) 60 ცმ-1,20 სმ	კალი	100		
42	ღრუბელი 20X30	კალი	58		
43	ნუსი (წიგნის საკრავი მანქანის)	კალი	22		
44	საღებავი რისოგრაფის (RNE. BLAK, 100 მლ)	კალი	90		
45	Rex-Rotari -ს მასტერი 3 ფორმა (შიდა D4,5მ)	კალი	15		
46	საწმენდი "პილო-Н"	ლიტ.	405		
47	პოლიგრაფიული პუდრა	კგ	20		
48	ფორმები 75X57	კალი	2 000		
49	ფირი ფერდამშლელის 66X600	რულ	11		
50	ფირი ფერდამშლელის 76X600	რულ	5		
51	თერმოსტეტი	კგ	395		
52	ლაშინატი ფორები	რულ	94		
53	ქიმიკატები ფერდამშლელის	ლიტ.	400		
54	"SPID MASTER" რუზინი	კალი	8		
55	"SPID MASTER" ვალიკების გადასატრავი ქსოვილი	მეტრი	100		
56	სიკატევი	კგ	1		
57	ასაკინი ზამბარები და კაუჭი 100 მ	რულიანი	10		

სატენდერო კომისია



# The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press


- Every Tuesday, from 20<sup>th</sup> of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიურ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



წლეულს სამეფო რბოლათა კალენდარში აბუ დაბის დიდი პრიზიკ შეიკანეს. ტრასის მშენებლობა და კეთილმოწყობა თითქმის დამთავრებულია. 2009 წლის 1 ნოემბერს კალენდარს წერტილს დაუსვამს "იას მარინას" დიდი პრიზი. ეს ფოტო იმ სასტუმროს ესკიზია. რომელიც ტრასის სიახლოვეს აიგება. სამეფო რბოლათა ჩემპიონატს სტარტი მიეცემა 29 მარტს ავსტრალიის დიდი პრიზით და არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში დასრულდება. სულ 17 ეტაპი ჩატარდება.



**თვითმსლელი:**  
**BMC PRO 935 FTE.**  
**8X4**

მინოდების ვადა  
**1**  
ლღე



ტექნიკის ტიპი: ბატონშეპარავი  
მწარმოებელი: BMC  
მოდელი: BMC PRO 935 FTE  
მოსულობა: 10 მ<sup>3</sup>  
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro 2)  
Turbo Intercooler  
სიმძლავრე: 350 სხ.ძ.  
ბადასამათა კოლოფი: ZF 16 S  
ბატონშეპარავი დანაღბარი: LIEBHERR  
გარანტია: 1 წელი  
მინოდების ვადა: 1 ღღე  
ანგარიშსწორება: 3-5 წლიანი ლიზინგი

**TEGETA TRUCK & BUS LTD**

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.  
☎ 244-744, 📠 244-744 (1219)

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შე-  
საბამისად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის  
სააგენტოს მიერ საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით, გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 24 იანვარს გამოცხადე-  
ბულ ტენდერზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოცხადდნენ და ხელშეკრუ-  
ლებები გაფორმდა:

- ლოტი N1 - შ.პ.ს. "მოდერნ-ვილა";
  - ლოტი N2 - შ.პ.ს. "მოდერნ-ვილა";
  - ლოტი N3 - შ.პ.ს. "მოდერნ-ვილა";
  - ლოტი N4 - ს.ს. "თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა";
  - ლოტი N5 - შ.პ.ს. "ნოვი სტილი ჯორჯია";
  - ლოტი N6 - შ.პ.ს. "ნოვი სტილი ჯორჯია";
  - ლოტი N7 - შ.პ.ს. "ნოვი სტილი ჯორჯია";
  - ლოტი N8 - შ.პ.ს. "მოდერნ-ვილა".
- სატენდერო კომისიის აპარატი.

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შე-  
საბამისად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის  
სააგენტოს მიერ საწვავის შესყიდვის მიზნით, გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 22 იანვარს გამოცხადებულ ტენ-  
დერზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ლოტი N1 და ლოტი N2 - ტენდერი დასრულდა უარყოფითი  
შედეგით, ლოტი N2 ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა ს.ს. "ვისოლ  
პატროლიუმ ჯორჯია"-სთან.

სატენდერო კომისიის აპარატი.



ჩოლოყაშვილის 48 ბ  
ტელ: 740 740  
www.gtgroup.ge

**Ford Transit**

Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors



16 950  
ევროდან



გარანტია 2 წელი

**iVan**

"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group  
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი

გარანტია 2 წელი



25 500  
ევროდან

**MST**

"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group  
MST-ს ბეკოლოდერები

გარანტია 1 წელი



46 000  
ევროდან



**ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიციალური დილერი საქართველოში**

ჩოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge



**გარანტია 2 წელი**

(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

**49 000**  
**ევროდან**

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი



### ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების კარტრიჯების (საქონლის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა წარიცხონ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900. გადახდის დოკუმენტში უნდა მითითდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სხვადასხვა დასახელების კარტრიჯების (საქონლის) შესყიდვაზე სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შედეგ მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. №72; მე-2 სართული, რის შემდეგაც პრეტენდენტებს გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა 2009 წლის 10 მარტიდან 2009 წლის 1 აპრილის 18 საათამდე;

#### 1. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	ლაიდენ-ობა	მიწოდების ვადები	იწოდების ადგილი
1	1 ფაქსის აპარატი Panasonic KX 143-ის კარტრიჯი	ცალი	25	მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებისა და აღწერის შემდეგ 2009 წლის 1 ნოემბრამდე, უტარობრივად (გრავისი შესაბამისად) შესყიდვულ მოთხოვნებთან 5 დღის ვადაში.	ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზარი №72
	2 ფაქსის აპარატი Panasonic KX 343-ის კარტრიჯი	ცალი	25		
	3 ფაქსის აპარატი Panasonic KX 773-ის კარტრიჯი	ცალი	25		
2	1 ასლგადამღები აპარატი Kiocera TONER KIT410/420-ის კარტრიჯი	ცალი	6		
	1 ფერადი პრინტერი დაზერული XEROX 6110MFP-5 400SO3791 ციანური 106R01203	ცალი	10		
3	2 პრინტერი-კომპიერი XEROX M20 -ის კარტრიჯი	ცალი	80		
	3 XEROX Workcentre 7328 -ის კარტრიჯი	კომპ	15		
	4 XEROX Workcentre 5020-ის კარტრიჯი	ცალი	15		
	5 XEROX 7142-is (ploter)-ის კარტრიჯი	კომპლექტი	10		
	1 პრინტერი HP 5100 -ის კარტრიჯი	ცალი	20		
4	2 პრინტერი HP Lazer jeti-2420 -ის კარტრიჯი	ცალი	45		
	3 პრინტერი HP 1005 printeris cb 435A -ის კარტრიჯი	ცალი	45		
	4 პრინტერი HP 2300 -ის კარტრიჯი	ცალი	50		
	5 ფერადი პრინტერი HP 1515N -ის კარტრიჯი	კომპლექტი	5		
	6 პრინტერი HP laser-jeti-c4096 q2612a -ის კარტრიჯი	ცალი	35		
	7 პრინტერი HP 2605ps -ის კარტრიჯი	კომპლექტი	5		
	8 ფერადი პრინტერი HP color laserjet CP1215 -ის კარტრიჯი	კომპლექტი	15		
	9 ფერადი პრინტერი HP Deskjet 6943 -ის კარტრიჯი	კომპლექტი	15		
	10 პრინტერი HP P1005 -ის კარტრიჯი	ცალი	70		
	11 პრინტერი HP LJ 1010,1018, 1020 -ის კარტრიჯი	ცალი	80		
	12 პრინტერი HP LaserJet 1200 -ის კარტრიჯი	ცალი	15		
	5	1 პრინტერი CANON - LBP 2900 -ის კარტრიჯი	ცალი	10	
2 პრინტერი CANON -103/303/703 -ის კარტრიჯი		ცალი	30		
3 CANON - FC 220 (ასლგადამღები) -ის კარტრიჯი		ცალი	20		
4 ასლგადამღები აპარატი CANON- Laser Base MF3110 -ის კარტრიჯი		ცალი	60		
5 ასლგადამღები აპარატი CANON - IP 4200 -ის კარტრიჯი		კომპლექტი	15		
6	1 პრინტერი SAMSUNG ML - 2015 -ის კარტრიჯი	ცალი	100		
	2 ფერადი პრინტერი SAMSUNG CLP-300 -ის კარტრიჯი	კომპ	10		
7	1 პრინტერი EPSON C-65 -ის კარტრიჯი	ცალი	5		

- საქონლის მიწოდების ადგილი ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზარი №72.
- მიწოდების და გადახდის გრაფიკი, პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში;
- ტენდერზე პრეტენდენტების მიერ წარმოადგენილ უნდა იქნას, საქონლის ნიმუშები ლოტების მითითებით;
- პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 2 აპრილს 12:00 საათიდან 16:00 საათამდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება და პაკეტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 2 აპრილს 16:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72.
- არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას (თანდართული დოკუმენტებს) თან უნდა დაერთოს მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის შესახებ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 7.1 ურთიერი პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:**
  - ამონაწერი საქმეწარმეო რეესტრიდან;
  - ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;
  - ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
- 7.2 ფიზიკური პირებისათვის:**
  - პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - სასამართლოდან ცნობა ფიზიკური პირი ქმედუნარიანობის შესახებ;
- 7.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
  - ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი, პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
  - ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ - საგადასახადო ინსპექციიდან;
  - ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ მომსახურე ბანკიდან;
  - ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან;
- წარმოადგენილ უნდა იყოს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
- პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მითხოვებებს. დავალიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდება წარმომდგენ პრეტენდენტებს.
- პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება,
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
- ტენდერში თითოეულ ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
- დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
- ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %-ის ოდენობით.
- სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა წინადადების წარმოდგენიდან არანაკლებ 30- დღე. ხოლო სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;
- ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
- გია სამაღალაშვილი 877 595051; ზვიადი მანჯგალაძე 877 987003; 41 24 51.

#### სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

### ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. რუსთავი 09. 03. 2009 წ.

ა.ი.პ. ქალაქ რუსთავის საბავშვო ბავა-ბალების გაერთიანების ფილიალებში ბავშვთა კვებაზე მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 23 თებერვალს ჩატარებულ ლია ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

I ლოტი შპს "ნილი" - ხელშეკრულება დაიდო 04.03.2009 წ. 61270 (სამოცდაერთი ათას ორას სამოცდაათი) ლარზე.

II ლოტი შპს "კორუ" - ხელშეკრულება დაიდო 04.03.2009 წ. 112 288 (ასთორმეტი ათას ორასოთხმოცდარვა) ლარზე.

III ლოტი შპს "კორუ" - ხელშეკრულება დაიდო 04.03.2009 წ. 201 895 (ორასერთი ათას რვაასოთხმოცდაათხუთმეტი) ლარზე.

სატენდერო კომისია  
ტელ: (899)624054  
(824)141130

### ცვლილება სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წლის 27 თებერვალს გაზეთში გამოცხადებულ ტენდერში

ცვლილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სპორტსმენთა კვებით მომსახურების" შესახებ მომსახურების მოკლე აღწერილობის ა) პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს:

ა) 10500 კაც-დღეზე 2009 წლის განმავლობაში დღეში სამჯერადი კვება და კვებითი მომსახურება.

აგრეთვე შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს:  
- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:  
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში  
სახაზინო კოდი - 302003174  
ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222  
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი.



### ბანკსადასახადო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. არასამეწარმეო კერძო სამართლის იურიდიული პირი- თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება აცხადებს ტენდერს, სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სავარაუდო მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება საკუთარი ტრანსპორტითა და ხარჯებით, უნდა განხორციელოს ქალაქ ფოთში არსებულ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში. დაწესებულებების დასახელება და მისამართი მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2.1 შესასყიდი პროდუქტების რაოდენობა და დასახელება მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

2.2 საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა, 2009 წლის 6 აპრილიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ).

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ქართულ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი ფოთი-4400, დ. აღმაშენებლის ქუჩა N12, თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში, 2009 წლის 30 მარტის 12.00 საათამდე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირებისათვის და ფიზიკური პირებისათვის (ინდივიდუალურ მენარმე-თათვის):

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (გარდა ფიზიკური პირებისათვის, ინდივიდუალურ მენარმეთათვის)
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.2. მონაწილის იურიდიული სტატუსი, კერძოდ: სანარმოს, ინდივიდუალურ მენარმის, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონაწილის და სამენარმეო რეესტრიდან ამონაწერის ქსეროასლი, ფიზიკური პირებისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის მონაწილის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ქსეროასლი, რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, საკონტაქტო ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ხელმძღვანელის

სახელი და გვარი.  
4.3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ არსებობის თაობაზე.

5. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები (ინდივიდუალური მენარმე-ბი) ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წამოადგენენ მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

7. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა სატენდერო მოსაკრებლის 200(ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ (საბანკო რეკვიზიტები - ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, სატენდერო შემოსავლის კოდი 300423174) განხორციელდება სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 30 მარტის 12.00 საათამდე ამ განცხადების მე-3 პუნქტში აღნიშნულ მისამართზე.

8. სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 მარტის 12.00 საათი.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების მთლიანი ფასის 2%-ის ოდენობით.

12. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ფასი, საქონლის ხარისხი, ანგარიშსწორების პირობები და საქონლის მიწოდების ვადები.

13. ტენდერში ალტერნატიული წინადადება არ გამოიყენება.

14. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში მისამართი, ქალაქი ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N12.

14. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბერდია ბუსქანძე, საკონტაქტო ტელეფონი - 8(293) 2-22-28, 8(293) 2-25-23; მობილური - 899 14-97-41;

სატენდერო კომისია

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლებების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში **დღეშეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს:

გრუნტის დამუშავება -	23197 მ <sup>3</sup>
ბოლიციტიდენის მიღების მოწყობა -	24477 მ <sup>3</sup>
რკპ ჰაბის მოწყობა -	35 ცალი
ქვამის, ბალახისა და მიწის მიყრა დატყეპნით -	23037 მ <sup>3</sup>

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 12 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,2 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 2,1 მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,4 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა

უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

➢ კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

➢ კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეულებთან პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი,

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. №150, თბილისი 0112, საქართველო

IV სართული, ოთახი 405

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შექმნა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. №2,

თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)

ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)

SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 29,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 7 აპრილის 12:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 7 აპრილს 12:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მისიურებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.



### მონაცემები ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი  
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-1-52

ხონის მუნიციპალიტეტის სოფლების მათხოჯი - ხიდი - გორდის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ქვეპროექტი

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 07 აპრილი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") ინვესტს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლებების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ხონის მუნიციპალიტეტის სოფლების მათხოჯი - ხიდი - გორდის საავტომობილო გზის **სარეაბილიტაციო სამუშაოების** განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:

1. ახალი ლითონის მილის მოწყობა 1 ც.
2. რკ. ბეტონის ხიდის შეკეთება 1 ც.
3. ფრაქციული ლორღი 25512 კვ.მ.
4. თხევადი ბიტუმი 25 ტ.
5. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი 25322 კვ.მ.
6. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონი საფარი 25322 კვ.მ.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 6 თვეს.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,3 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 4.7 მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,6 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს

მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარდანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო  
IV სართული, ოთახი 405  
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15  
ფაქსი: (+995-32) 48-45-55  
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შექმნა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**  
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**  
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**  
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**  
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**

**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**  
ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 32,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 7 აპრილის 12:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 7 აპრილს 12:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი** - ქ. თბილისში, სადრენაჟო ქსელის მოწყობის, სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 (ექვსი) ლოტად :**

**ლოტი N1** - ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე სადრენაჟო ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N2** - ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, N26-ე კორპუსის მიმდებარედ სადრენაჟო ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N3** - ქ. თბილისში, გლდანის VII მ/რ-ში, ყოფილი რადიოქარხნის მიმდებარე ნაკვეთების ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N4** - ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ჭავჭავაძის ქ. N17 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N5** - ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N42 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**ლოტი N6** - ქ. თბილისში, III მასივის ზემო პლატოს N5 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა : ლოტი N1 - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვე; ლოტი N2 ; ლოტი N3 ; ლოტი N4 ; ლოტი N5; ლოტი N6 - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე;**

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 30 მარტის 11:00 საათიდან 2009 წლის 30 მარტის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.**

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ.
- ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

- ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალო-

გიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მინოდების შესახებ;

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, სადრენაჟო ქსელის მოწყობის, სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (6 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 10 მარტიდან 2009 წლის 30 მარტის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარია ცენტრადე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72



### განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის სანარმო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **რეზინის ნაწარმის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტს ყველა დანტერესებულ პირს. ტენდერი დაწყებულია 5 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2 და/ან ვებ. გვერდზე [www.metro.ge](http://www.metro.ge).
2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;
3. **სასურველია, დაცული იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მინოდების გრაფიკი.**
4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლება, 100 (ასი) ლარის ოდენობის ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 20 მარტის 15 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.  
ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 20 მარტის 15 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.
6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.
7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.
8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- იურიდიულ პირთათვის:**
    - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
    - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
    - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება.
  - ფიზიკურ პირთათვის:**
    - ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
    - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
  - როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
    - სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
    - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.
- შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 20 მარტის 15 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამისაა შემსყიდველის მოთხოვნებს.
9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
  10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: თინათინ შუბითიძე, ინგა ხვედელიძე, გიორგი ჩილვინაძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: [procurement@metro.ge](mailto:procurement@metro.ge); შპს "თბილისის მეტრო" [www.metro.ge](http://www.metro.ge)

სატენდერო კომისია  
10 მარტი, 2009 წელი

### მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

#### ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი დაარსდა 2007 წლის იანვარში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. ცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიის რეგულირებასა და სტატუსის ამაღლებას, მასწავლებლის პროფესიული ცოდნის, საქმიანობის მაღალ სტანდარტს, სწავლებისა და სწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას მასწავლებლის, მოსწავლეებისა და საზოგადოების სასარგებლოდ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი იწყებს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ტრენინგების პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას საქართველოს საჯარო სკოლებში. პროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლის მასწავლებლები, დირექტორები და რესურს-ცენტრების თანამშრომლები პროფესიულ კვალიფიკაციას აიმაღლებენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.

პროგრამის განსახორციელებლად ცენტრი აცხადებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგების ვაკანსიას სხვადასხვა რეგიონში ტრენინგების ჩასატარებლად. კანდიდატების შერჩევა მოხდება როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან.

- ძირითადი მოვალეობები:**
  - ტრენინგების ჩატარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში;
  - ყოველთვიური ტრენინგ-ანგარიშის მომზადება ტრენინგების კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად;
  - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
  - ჩატარებული ტრენინგების შეფასება და ანალიზი.

#### საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ტექნიკური განათლება);
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნა;
- პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია);
- საგანმანათლებლო სფეროში ტრენინგების ჩატარების გამოცდილება.
- სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა (სასურველია);

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, CV და სამოტივაციო წერილი გამოგზავნონ ელ-ფოსტის მისამართზე: [ejeladze@tpdc.ge](mailto:ejeladze@tpdc.ge).

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 20 მარტი, 2009 წ. 18:00 სთ.

დაგვიანებით ან არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტები არ განიხილება. გასაუბრებაზე მოწვეული იქნებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ ზემოთ მოთხოვნილ კრიტერიუმებს.

### განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი: ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18, აცხადებს ტენდერს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად და ინვესტს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მომსახურების სამუშაოები მოიცავს გარე განათების ქსელის მომსახურებას ქ. ახალციხეში, ქ. ვალეში, სოფლებში წყალთბილა და ანყურა.
3. შესრულებული სამუშაო უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. შესრულების სავარაუდო ვადაა: ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.
5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად დალუქულ კონვერტებში (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 3 აპრილის 16 საათამდე მისამართზე: ქ. ახალციხე, კოსტავას 18, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი 4 (გამგეობის აპარატის უფროსი).**
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
  - იურიდიული პირებისათვის:**
    - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.
    - ცნობა საჯარო რეესტრის ტერიტორიული ერთეულის სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.
    - ნოტარიულად დამოწმებული წესდების ასლი.
  - ფიზიკური პირისათვის:**
    - ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
- როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:**
  - იურიდიული/ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).
  - სახელმწიფო ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).
  - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
  - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
  - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს გადახდებულად/ან არგადახდებულად რეგისტრაციის შესახებ.

- საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული ბოლო სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშები ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკური პირებისათვის დეკლარაციები).
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა), დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.
- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი სახელი და მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი), დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.
- ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პირი არაა შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
- 7. იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ისინი **მე-5 პუნქტში** დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ **მე-6 პუნქტში** ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- 8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, **2009 წლის 31 მარტის 17 სთ-მდე მისამართზე: ქ. ახალციხე, კოსტავას 18, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი 4 (გამგეობის აპარატის უფროსი).** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.
- 9. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციის სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მისამართზე: **ქ. ახალციხე, კოსტავას 18, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი 4 (გამგეობის აპარატის უფროსი).**
- 10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტის იურიდიული პირის ხელმძღვანელის და ფიზიკური პირის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, რომელიც წარდგინდება სატენდერო კომისიის დალუქული კონვერტებით.
- 11. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: **სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, მიმღები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის 200122900, სახაზინო კოდი: 300583174, ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.**
- 12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №18, მე-3 სართული, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ტელ: **895 95 50 51.**

სატენდერო კომისია







# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს სათბობი საწვავის (თხევადი) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი – სათბობი საწვავი (თხევადი) დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მატანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 10 მარტიდან 31 მარტის 12.00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვიციანიძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ტონა. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასავალადახადო სახელმწიფო ხაზინა

ანგ. № 200122900

ბანკის კოდი: 220101222

სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სათბობი საწვავის (თხევადი) სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი.

პრეტენდენტებს განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დოკუმენტულ კონვერტში 2009 წლის 31 მარტის 12 საათიდან 2 აპრილის 12:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვიციანიძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო წინადადება უნდა იქნას მოხდეს პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოთაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 2 აპრილის 12:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

### იურიდიულ პირთათვის:

- ამინაწერი სამწარმოო რეესტრის დანაშაულის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადასახდისუნარიობის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელებში ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

### ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა შესაბამისად ყველაზეაღიარებული სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელებში ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა მასხედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (სავალადახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებს სატენდერო წინადადებათა ერთად (ერთ დოკუმენტულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის წარმართვის შესახებ განცხადების (ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად, შემოთავაზებული საქონლის წარმოების და/ან შესაბამისობის სერტიფიკატი.

განცხადებაში ნაითვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო მონაცემების დროს, შემდგომ დახუცდება არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დასაკვალიფიკაციო შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

შენიშვნა: პრეტენდენტებს საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, სადენტრიფიკაციო კოდი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უსრულველოვის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადასე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უსრულველოვის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს ატარებულ ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოს მენთემაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვიციანიძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322.

### საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი №	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	სათბობი საწვავი	ტონა	120	ხელშეკრულების დადებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნებიდან 20 დღის განმავლობაში	ქ. ბათუმი

სატენდერო კომისია

## სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი" აცხადებს პირობებიან აუქციონს უძრავი ქონების განსჯის მიზნით.

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

1. ბოლნისის კ/თ - მიწის ფართი 1600 კვ. მასზე განლაგებული 700 კვ.მ შენობა-ნაგებობით. საწყისი გასაყიდი ფასი 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი. "ბე" საწყისი გასაყიდი ფასის 10 %. "ბიჯი" - 6 300 ლარი.

მიყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილის მინიმუმ 10 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში.

2. ქ. გორის კ/თ "გამარჯვება" - მიწის ფართი 3600 კვ.მ. მასზე განლაგებული 1842,9 კვ.მ შენობა-ნაგებობით. ამავე მიწის ნაკვეთზე დგას შენობა-ნაგებობა, რომელიც არ არის აღრიცხული სს "ქართული ფილმის" საკუთრებად. სარეალიზაციო ქონება გაცემულია იჯარით. საწყისი გასაყიდი ფასი 200 000 ლარი. (ორასი ათასი ლარი) ლარი. "ბე" საწყისი გასაყიდი ფასის 10%. "ბიჯი" - 14 000 ლარი.

მიყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი მინიმუმ 10 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;

3. ოზურგეთის კ/თეატრი - მიწის ფართი 2000 კვ.მ, მასზე მასზე განლაგებული . შენობა-ნაგებობით, საწყისი გასაყიდი 180 000 (ასოთხმოცი ათასი) ლარი "ბე" საწყისი გასაყიდი ფასის 10%. "ბიჯი" - 12 600 ლარი

მიყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი მინიმუმ 10 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;

5. სამტრედიის კ/თეატრი - მიწის ფართი - 876 კვ.მ, მასზე მასზე განლაგებული 783,4 კვ. მ. შენობა-ნაგებობით, საწყისი გასაყიდი 60 000 (სამოცი ათასი) ლარი "ბე" საწყისი გასაყიდი ფასის 10%. "ბიჯი" - 4 200 ლარი

მიყიდველი ვალდებულია:

- შეინარჩუნოს პროფილი მინიმუმ 10 წლის განმავლობაში;
- მოაწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ცენტრი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში გამარჯვებული მიყიდველი ვალდებულია აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო სარეალიზებო თანხის 40%, შემდეგ 30 დღის ვადაში -20%, ხოლო ყოველი შემდეგი 30 დღის განმავლობაში - 10%-10%-10%-10% წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მიყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

საუქციონო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია:

- ა) ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;
- ბ) მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის გასაყიდი ფასს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ სს "ქართული ფილმი").
- ბ) სს "ქართული ფილმის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის (10ლარი) შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;
- გ) პირადობის დამადასტურებელი მონაწილის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იქნეს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

განაცხადები მიიღების ადგილია ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. N 10ა, სს "ქართული ფილმი" მე-2 სართული, მე-14 ოთახი. ტელ: 52-09-13; 43-3-30-136.

განაცხადის მიღების ვადა 2009 წლის 10 მარტიდან 2009 წლის 23 მარტის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

აუქციონის ჩატარების დრო 23 მარტს, 15.30 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: TBC ბანკი, მარჯანიშვილის ფილიალი, ა/ა 360800208, კოდი 220101850, საიდენტიფიკაციო კოდი 202054196.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდი ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს "ქართული ფილმი".

**სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმი"**



საქმე №2/2650-08  
დაუსრავალი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით  
05 დეკემბერი, 2008 წელი ქ. თბილისი  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია  
**მოსამართლე** - ლელა კალიჩენკო  
**საქმის განხილვის ფორმა** - ზეპირი მოსმენის გარეშე  
**მოსარჩელე** - ლუბა ლოლაშვილი  
**წარმომადგენელი** - ლია ლაზაშვილი  
**მოპასუხე** - თეიმურაზ ლოლაშვილი  
**დავის საგანი** - განქორწინება, ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონებიდან იდეალური 1/2 ნილის გამოყოფა

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

2008 წლის 15 ივლისს ლუბა ლოლაშვილი (წარმომადგენელი ლია ლაზაშვილი) სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას თეიმურაზ ლოლაშვილის მიმართ ქორწინების შეწყვეტის და ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონებიდან იდეალური 1/2 ნილის გამოყოფის მოთხოვნით და განმარტა, რომ 06.08.1991 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუხესთან. რეალურად მხარეები რეგისტრაციის გარეშე ქორწინებაში იმყოფებიან 1973 წლიდან, ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ერთი შვილი - ნინო ლოლაშვილი, დაბადებული 10.06.1974 წელს, რომელიც დღეისათვის გათხოვილია და ჰყავს ოჯახში.

მოპასუხეს სხვა პირთან ჰყავს შვილი, რაც გახდა მიზეზი მათი დაშორებისა. 29.08.2000 წელს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს №2/433 გადაწყვეტილებით შეუღლები განქორწინდნენ, მაგრამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურში არ წარუდგენიათ განქორწინების მოწმობის მისაღებად. ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან გასულია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ქორწინება დარჩა ძალაში. შეუღლებებს შორის 2000 წლიდან ქორწინება ფაქტიურად შეწყვეტილია, დღეისათვის ცხოვრობენ ცალ-ცალკე. მოპასუხე - თეიმურაზ ლოლაშვილი თვლის, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 29.08.2000 წლის გადაწყვეტილებით უკვე განქორწინებულია და წინააღმდეგია განმეორებით ქორწინების შეწყვეტისა.

მოსარჩელე - ლუბა ლოლაშვილი მოითხოვს მასსა და მოპასუხე - თეიმურაზ ლოლაშვილს შორის 06.08.1991 წელს რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტას შესარიგებელი ვადის გარეშე.

მხარეებს შორის ასევე არსებობს ქონებრივი დავა, მოსარჩელე - ლუბა ლოლაშვილი შეუღლების დღიდან ცხოვრობდა ბინაში, მდებარე ქინძმარაულის შესახვევი კორპ. 30, ბინა 1-ში. ბინა პრივატიზებული იქნა 1992 წლის 14 დეკემბერს მოპასუხის მიერ, რაც რეგისტრირებული იქნა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში, მაგრამ საჯარო რეესტრში არ აღურცხავს. მოსარჩელე განმარტავს, რომ თანახმად საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ) გადაცემის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 01 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 პუნქტისა, არის ბინის მესაკუთრე. მოსარჩელე ასევე განმარტავს, რომ რეალურად ის ცხოვრობს სადაო ბინაში, იხდის კომუნალურ გადასახადებს.

მოსარჩელე განმარტავს, რომ მოპასუხე თეიმურაზ ლოლაშვილი ეპმუქრება მას ბინის გაყიდვით. ვინაიდან არ შეიღებოს მოსარჩელე - ლუბა ლოლაშვილის კანონიერი უფლება, მოითხოვს განისაზღვროს კუთვნილი იდეალური ნილი მის საკუთრებად და აღრიცხულ იქნას საჯარო რეესტრში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით ლუბა ლოლაშვილის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 201-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, მოპასუხე თეიმურაზ ლოლაშვილს გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები არაერთხელ, მაგრამ ვერ ჩაბარდა. 2008 წლის 27 ნოემბერს - თეიმურაზ ლოლაშვილს გაეგზავნა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და განესაზღვრა 05 დღის ვადა შესაგებლის წარმოსადგენად. ამასთან, მოპასუხეს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნებოდა დაუსრულებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით,

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე თეიმურაზ ლოლაშვილისადმი 2008 წლის 27 ნოემბერს გაეგზავნილი გზავნილი ჩაბარდა მის სრულწლოვან შვილს - ნინო ლოლაშვილს 27.11.2008 წელს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის, ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლო გზავნილი მოპასუხეს ჩაბარდა 2008 წლის 27 ნოემბერს, მისთვის შესაგებლის წარმოსადგენად სასამართლო მიერ დანიშნული 05 დღიანი ვადის დენა დაიწყო გზავნილის ჩაბარების მომდევნო დღიდან, ე.ი. 2008 წლის ნოემბრიდან და შესაგებლის წარმოსადგენად განსაზღვრული 05 დღიანი ვადა იწურებოდა 2008 წლის 02 დეკემბერს.

ამდენად, თეიმურაზ ლოლაშვილს შესაგებელი უნდა წარმოედგინა 2008 წლის 02 დეკემბრის ჩათვლით. საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ ამ უკანასკნელს არათუ მითითებული დროისათვის, არამედ არც მოცემული გადაწყვეტილების მიღების დროისათვის სასამართლოში წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე პრიმა მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზემოთ მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსრულებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ლუბა ლოლაშვილი მოპასუხესთან - თეიმურაზ ლოლაშვილთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, ხოლო ქორწინება რეგისტრირებული იქნა 1991 წლის 06 აგვისტოდან. მძარეებს თანაცხოვრების პერიოდში, 1974 წლის 15 აპრილს შეეძინა შვილი - ნინო ლოლაშვილი.

დადგენილია, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის №2/453 გადაწყვეტილებით მოსარჩელე ლუბა ლოლაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და შეწყდა თეიმურაზ ლოლაშვილსა და ლუბა ლოლაშვილს შორის თბილისის სამგორის რაიონის მმარის მიერ 1991 წლის 6 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება, რეგისტრაციის №383.

სამოქალაქო აქტების რეესტრის სააგენტოს თბილისის არქივის მიერ 2008 წლის 25 ივნისს გაცემული ქორწინების მოწმობით დადგენილია, რომ შეუღლებს - თეიმურაზ ლოლაშვილსა და ლუბა ლოლაშვილს შორის 1991 წლის 06 აგვისტოს რეგისტრირებული ქორწინება დღემდე ძალაშია და ქორწინების ბათილობა რეგისტრირებული არ არის.

დადგენილია, რომ შეუღლებათა თანაცხოვრების პერიოდში - 1992 წლის 14 დეკემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულებით თეიმურაზ ლოლაშვილს უსასიძლოდ გადაეცა ბინა, მდებარე ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი №30, ბინა 1, საცხოვრებელი ფართი 31,50 კვ.მ. აღნიშნული ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნა თბილისის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში და დღეისათვის ბინის მესაკუთრეა თეიმურაზ ლოლაშვილი.

დადგენილია, რომ შეუღლებები ჩაერილი არიან ზ/აღნიშნულ ბინაში. საქმეში არსებული გადახდის დამადასტურებელი მეთოდებით ასევე დასტურდება ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ლუბა ლოლაშვილი იხდის აღნიშნული ბინის კომუნალურ გადასახადებს.

ვინაიდან მოპასუხე - თეიმურაზ ლოლაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი თანდართული მასალებით ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით და მას არ წარმოუდგენია რაიმე საწინააღმდეგო მოსაზ-

რება, ასევე დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს მოსარჩელის მიერ მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სარჩელით დადგენილია, რომ შეუღლებებს შორის ქორწინება ფაქტიურად შეწყვეტილია. მიუხედავად იმისა, რომ განქორწინების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება აღრიცხული არ იქნა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში შეუღლებები 2000 წლიდან ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. ქორწინების რეგისტრაცია დღემდე ძალაშია.

დადგენილია, რომ მხარეების თანაცხოვრების პერიოდში ფლობდნენ ბინას, მდებარე ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი №30, ბინა 1, საცხოვრებელი ფართი 31,50 კვ.მ., რაზეც 14.12.1991 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულებით თეიმურაზ ლოლაშვილის მიერ მოპოვებული იქნა საკუთრების უფლება და რეგისტრირებული იქნა თბილისის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში, დღეისათვის ბინის მესაკუთრეა თეიმურაზ ლოლაშვილი. დადგენილია, რომ მოსარჩელე - ლუბა ლოლაშვილი დღემდე ფლობს სადაო ბინას და იხდის კომუნალურ გადასახადებს. სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ შეუღლებებს შორის ქორწინების ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

